პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 198 (10895) | ხუთშაბათი, 22 აგვისტო, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი პირობას აძლევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ პროფესიული კავშირები გაამრავლებენ თავიანთ ღონისძიებებს პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა სრული განხორციელებისათვის, მეექვსე ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში.

(პროფესიული კავშირების სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პლენუმის მიხალმებიდან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

პროფესიული კავშირების სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს საზეიმო პლენუმი, მიძღვნილი სსრ კავშირის პროფკავშირთა ორმოცდაათი წლისთავისადმი, პროფკავშირებში გაერთიანებული მუშებისა და მოსამსახურეების მრავალმილიონიანი არმიის სახელით მხურვალე, გულითად სალამს უძღვნის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

ჩვენი ქვეყნის პროფკავშირებსა და ყველა მშრომელში უდიდესი სიხარულისა და მადლობის გრძნობა გამოიწვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებამ სსრ კავშირის პროფესიული კავშირების 50 წლისთავთან დაკავშირებით.

პარტიის სიტყვა, მის მიერ დასახული საბრძოლო ამოცანები აღფრთოვანებენ საბჭოთა კავშირის მუშებს, ინტელიგენციასა და მოსამსახურეებს კომუნისტურ მშენებლობაში ახალი წარმატებებისათვის საბრძოლველად.

საბჭოთა პროფკავშირები წარმოიშვნენ და განვითარდნენ ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე მოძღვრების დროშით. არიან რა პარტიის ერთგული დასაყრდენი მასებში, ისინი თავიანთი საქმიანობის პირველი დღეებიდანვე აქტიურად მონაწილეობდნენ რევოლუციურ ბრძოლაში თვითმპყრობელობის, მემამულეთა და კაპიტალისტთა ძალაუფლების დამხობისათვის, მუშათა და გლეხთა ძალაუფლების მოპოვებისათვის.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ პროფკავშირები გახდნენ ახალი ცხოვრების მშენებლები, მართვის სკოლა, კომუნიზმის სკოლა. ადგანან რა ვ. ი. ლენინის მიერ ნაჩვენებ გზას, პროფკავშირები რაზმავენ მუშათა და მოსამსახურეთა მასებს თავდადებული შრომისათვის, აწყობენ სოციალისტურ შეჯიბრებას, ზრუნავენ მშრომელთა საყოფაცხოვრებო საჭიროებებისათვის, იბრძვიან მათი კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებისათვის.

პროფესიული კავშირები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, უდიდესი აღმავლობით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, რომელმაც დასახა კომუნისტური მშენებლობის დიადი პროგრამა. საბჭოთა ადამიანებს სულით და გულით უხარიათ ყრილობის შემდეგ მიღწეული წარმატებანი, ჩვენი ქვეყნის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განუხრელი ზრდა, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლება.

ჩვენს ქვეყანაში მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნის განხორციელებამ ფართო ასპარეზი შეუქმნა ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების შემდგომ განვითარებას და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

პროფესიული კავშირები განუყოფლად უჭერენ მხარს კომუნისტური პარტიის ბრძნულ ლენინურ პოლიტიკას, ყველა ღონისძიებას, რომლებსაც იგი ახორციელებს.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მათ ერთსულოვნად მოიწონეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილება, რომელმაც ამხილა მალენკოვის, კაგანოვიჩისა და მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფი, რომლებმაც თავი დაუპირისპირეს პარტიასა და ხალხს და ცდილობდნენ აეცდინათ პარტია მისი ლენინური გზიდან.

პროფკავშირებმა გულისწყრომით დაგმეს ფრაქციული ჯგუფი, კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმნენ პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, რომელსაც თანმიმდევრულად და მტკიცედ მიჰყავს ჩვენი ქვეყანა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გზით.

პარტიის XX ყრილობამ აღნიშნა, რომ საჭიროა გამოცოცხლდეს პროფკავშირების მუშაობა, ამაღლდეს მათი როლი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. პარტიის ცენტრალური კომიტეტი უდიდეს დახმარებას უწევს პროფკავშირებს მთელ მათს მრავალფეროვან საქმიანობაში. პარტიის ყურადღება პროფესიული კავშირებისადმი საბჭოთა საზოგადოების მთელ ცხოვრებაში მათი როლის შემდგომი ამაღლების საწინდარია.

საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი პირობას აძლევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ პროფესიული კავშირები გაამრავლებენ თავიანთ ღონისძიებებს პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა სრული განხორციელებისათვის, მეექვსე ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში.

ისინი კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, უფრო მეტად ჩაებამენ მშრომელთა მასებს წარმოების მართვაში, ყოველი ღონისძიებით იბრძოლებენ შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელი ზრდისათვის, როგორც კომუნიზმის მშენებლობაში ახალ გამარჯვებათა მიღწევის მთავარი პირობისათვის.

კომუნისტური პარტიის მითითებათა მიხედვით პროფკავშირები გააძლიერებენ ზრუნვას მუშათა და მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, მიაღწევენ მათი შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, შეურიგებლად იბრძოლებენ საბჭოთა ადამიანებისადმი უყურადღებო დამოკიდებულების ფაქტების წინააღმდეგ.

პროფკავშირები გაამრავლებენ თავიანთ ღონისძიებებს მუშათა და მოსამსახურეთა კულტურულ-ტექნიკური დონის შემდგომი ამაღლების საქმეში, კიდევ უფრო მეტი ენერგიით დარაზმავენ მასებს მშობლიური კომუნისტური პარტიის — საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების ორგანიზატორისა და სულისჩამდგმელის გარშემო.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ერთგული საბჭოთა პროფკავშირები კვლავაც ყოველი ღონისძიებით განავითარებენ და განამტკიცებენ ძმურ კავშირს მსოფლიოს ყველა ქვეყნის პროფკავშირებთან, მთელი ენერგიით იბრძოლებენ მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის.

საბჭოთა პროფკავშირები იყვნენ, არიან და მუდამ იქნებიან კომუნისტური პარტიის პოლიტიკის ერთგული განმხორციელებლები, მისი ურყევი დასაყრდენი ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის სახელოვან კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალურ კომიტეტს — კომუნიზმის მშენებლობის მებრძოლ შტაბს.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის პროფკავშირების ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

რუსეთში პირველი რევოლუციური პროფესიული კავშირების დაარსების ორმოცდაათი წლისთავის გამო, აგრეთვე სოციალისტური მშენებლობის საქმეში საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის პროფესიული ორგანიზაციების შეტანილი დამსახურების, მათი, როგორც კომუნიზმის სკოლის, დიდმნიშვნელოვანი აღმზრდელობითი როლის გამო **სსრ კავშირის პროფესიული კავშირები** დაჯილდოებულ იქნან **ლენინის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი.
1957 წ. 20 აგვისტო.

საბჭოთა პროფკავშირების 50 წლისთავი

საკავშირო პროფსაბჭოს საზეიმო პლენუმი

20 აგვისტოს მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში, გაიმართა საკავშირო პროფსაბჭოს საზეიმო პლენუმი ფართო პროფკავშირული აქტივისა და პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით, მიძღვნილი საბჭოთა პროფკავშირების 50 წლისთავისადმი. პლენუმის მუშაობაში აგრეთვე მონაწილეობა მიიღეს უცხოეთის ბევრი პროფკავშირის მოღვაწეებმა.

პლენუმის საპატიო პრეზიდიუმში ერთსულოვნად აირჩიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი.

პლენუმის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ ამხანაგებს ნ. ი. ბელიაევს, ლ. ი. ბრეჟნევს, მ. ა. სუსლოვს, პ. ნ. პოსპელოვს, როცა ისინი პრეზიდიუმში გამოჩნდნენ.

მოხსენება „სსრ კავშირის პროფესიული კავშირების 50 წლისთავი“ გააკეთა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ვ. ვ. გრიშინმა.

— თავიანთ 50 წლისთავს, — თქვა მომხსენებელმა, — საბჭოთა პროფკავშირები აღნიშნავენ სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის მშრომელთა ძალების მობილიზაციის ნიშნით, საწარმოო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების ნიშნით.

უდიდესი სიხარულისა და კმაყოფილების გრძნობით შეხვდა მილიონობით მუშა და მოსამსახური საბჭოთა კავშირის პროფკავშირების ცენტრალური საბჭოსადმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებას, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა. მისალმებაში მაღალი შეფასება აქვს მიცემული პროფესიული კავშირების საქმიანობას, მათ წინაშე დასახულია პასუხსაგები ამოცანები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება აღფრთოვანებს პროფკავშირთა წევრების მრავალმილიონიან არმიას სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში ახალი წარმატებებისათვის საბრძოლველად.

მომხსენებელი შეეხო რუსეთში პროფკავშირების შექმნის ისტორიას. ჩვენი ქვეყნის პროფესიული კავშირები თავიანთი შექმნის დასაწყისიდანვე გამოდიოდნენ როგორც რევოლუციური ორგანიზაციები, რომლებიც შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდნენ ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

მომხსენებელმა ილაპარაკა პროფკავშირების როლზე საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდში, დიდი სამამულო ომის წლებში.

ამჟამად საბჭოთა პროფკავშირები თავიანთ ღონისძიებებს მიმართავენ პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. ისინი რაზმავენ მშრომელებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის და უწინარეს ყოვლისა საბჭოთა ეკონომიკის საფუძვლის — მძიმე ინდუსტრიის შემდგომი ზრდისათვის, სოფლის მეურნეობის აღმავლობის განხორციელებისათვის საბრძოლველად, რათა ამ საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნას საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლება.

მომხსენებელმა მოიყვანა ციფრები და ფაქტები, რომლებიც მოწმობენ სსრ კავშირის მშრომელთა კეთილდღეობის განუწყვეტელ გაუმჯობესებას. სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობის საფუძველზე განუწყვეტლივ მაღლდება საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონე, იზრდება მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასი, თუ ხელფასის დონეს 1950 წელს მივიღებთ 100 პროცენტად, 1955 წელს იგი შეადგენდა 139 პროცენტს. მეექვსე ხუთწლედში მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასი კიდევ გადიდდება 30 პროცენტით. ჩვენს ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცევა საბინაო მშენებლობის განვითარებას.

საბჭოთა პროფკავშირების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ფართოდ ჩაებან მშრომელები წარმოების მართვაში. პროფკავშირები მოვალენი არიან გააძლიერონ მუშაობა კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულებისათვის, გამოიჩინონ დიდი პრინციპულობა და მომთხოვნელობა ამ საქმეში, უკეთ გამოიყენონ დიდი შესაძლებლობანი ამ მუშაობის გასაუმჯობესებლად სამინისტროთა ლიკვიდაციასა და სამეურნეო მართვის ადგილობრივი ორგანოების შექმნასთან დაკავშირებით.

პროფკავშირები მოწოდებული არიან იბრძოლონ მშრომელთა მოთხოვნილებებისა და საჭიროებებისადმი ყოველგვარი გულგრილობისა და უყურადღებობის გამოვლინების წინააღმდეგ, იბრძოლონ იმისათვის, რომ ყოველი ღონისძიებით გააუმჯობესონ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების აპარატის მუშაობა მშრომელთა მომსახურების დარგში.

კომუნისტური მშენებლობის იმ გრანდიოზული პროგრამის განხორციელება, რომელიც კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დასახა, მოითხოვს პროფკავშირთა მუშაობის სერიოზულ გაუმჯობესებას მშრომელთა აღზრდის დარგში. ისინი ყოველი ღონისძიებით უნდა უნერგავდნენ ყველა მუშასა და მოსამსახურეს შრომისადმი, წარმოებისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი შეგნებული დამოკიდებულების გრძნობას. აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობის განხორციელებისათვის პროფკავშირებს დიდი მატერიალური ბაზა აქვთ. მათ აქვთ 11 ათასზე მეტი კლუბი, კულტურის სახლი და სასახლე, 115 ათასი წითელი კუთხე, 18 ათასი ბიბლიოთეკა, 11 ათასი კინოდანადგარი, 8.200 სასპორტო და ტურისტული ნაგებობა.

საბჭოთა პროფკავშირები, — ამბობს დასასრულ მომხსენებელი, — ყოველი ღონისძიებით აფართოებენ და განამტკიცებენ თავიანთ ინტერნაციონალურ კავშირს უცხოეთის ქვეყნების მშრომელებთან. ისინი აქტიურად მონაწილეობენ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის საქმიანობაში, რომელიც მუშათა კლასის მებრძოლი საერთაშორისო ორგანიზაციაა და, რომელიც თანმიმდევრულად იბრძვის მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებისა და უფლებებისათვის.

სსრ კავშირის პროფკავშირები მთლიანად და სავსებით უჭერენ მხარს საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს.

პლენუმზე საბჭოთა პროფკავშირებს მიესალმნენ: ქალაქ მოსკოვის მშრომელთა სახელით — ვლადიმერ ილიასძის სახელობის ქარხნის ზეინკალი-მემრუდთარგე, საამქროს კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. მ. ს. პიმენოვი, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სახელით — საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. ი. ზალუჟნი, შრომითი რეზერვების მოსწავლეთა სახელით — № 11 ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე გალინა არაპოვა, ქალაქ მოსკოვის პიონერები, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის სახელით — პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური მდივანი ლუი საიანი, სრულიად ჩინეთის პროფკავშირთა ფედერაციის სახელით—ამხ. ლიუ ჩან-შენი, საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის სახელით — ამხ. გასტონ მონმუსო, ჩეხოსლოვაკიის პროფკავშირთა სახელით — ამხ. ვაცლავ პაშეკი, იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის სახელით ამხ. ჯაკომო ბროდოლინი, იუგოსლავიის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს სახელით — ამხ. სალაი ჯურო, არაბთა პროფკავშირის ფედერაციის სახელით — ამხ. კამელ ფახტი, ლათინური ამერიკის მშრომელთა კონფედერაციის სახელით — ამხ. პენია ლასარო, კამერუნის პროფკავშირთა სახელით — ამხ. ნ. გონ ჟაკი, სრულიად უნგრეთის პროფკავშირთა საბჭოს სახელით — ამხ. მიკლოშ შომოდი, ფინეთის პროფკავშირთა ცენტრალური გაერთიანების სახელით — ამხ. ეეერო ანტიკაინენი და სხვები.

პლენუმის მონაწილენი უცხოეთის პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენელთა მისასალმებელ სიტყვებს მჭიხარე ტაშით შეხვდნენ.

პლენუმმა მიიღო მისალმება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

(საკდესი).

ფ. ე. ძერჟინსკის რჩეული ნაწარმოებნი

გამოდის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის, ვ. ი. ლენინის ერთგული მოწაფისა და უახლოესი თანამებრძოლის, კომუნიზმისათვის მგზნებარე მებრძოლის ფელიქს ედმუნდის-ძე ძერჟინსკის რჩეულ ნაწარმოებთა ორტომეული, რომელიც მოამზადა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა. პირველი ტომი მოიცავს პერიოდს 1897 წლიდან 1923 წლამდე, მეორე ტომი — 1924 წლის იანვრიდან 1926 წლის ივლისამდე.

1897-1905 წლების პერიოდის წერილებსა და სტატიებში ნაჩვენებია ფ. ე. ძერჟინსკის, როგორც კომუნისტთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის რსდმპ-თან გაერთიანებისათვის მებრძოლის, ნამდვილი პროლეტარული ინტერნაციონალისტის, მამაცი რევოლუციონერის მოღვაწეობა.

უდიდესი ძალის დოკუმენტია ნაწარმოები „პატიმრის დღიურიდან“, რომელიც ფ. ე. ძერჟინსკიმ დაწერა 1908-1909 წლებში, როცა იგი დაპატიმრებული იყო ვარშავის ციტადელის მეათე პავილიონში.

1907-1912 წლების წერილები გვიჩვენებენ ფ. ე. ძერჟინსკის ბრძოლას ლიკვიდატორებისა და ტროცკისტების წინააღმდეგ, მუშათა კლასის რევოლუციური პარტიის რიგების სიწმინდისათვის.

1917-1923 წლების სტატიებში, სიტყვებსა და წერილებში ასახულია ფ. ე. ძერჟინსკის, როგორც ვ. ი. ლენინის უახლოესი თანამებრძოლის, საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი ხელმძღვანელისა და მშენებლის, სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიისა და გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ხელმძღვანელის, შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის, გზათა სახალხო კომისრის მოღვაწეობა.

პირველი ტომის დამატებაში მოთავსებულია ფ. ე. ძერჟინსკის ზოგიერთი წერილი ნათესავებისადმი 1898-1919 წლების პერიოდში.

მეორე ტომში მოთავსებული ნაწარმოებნი აშუქებენ ფ. ე. ძერჟინსკის მოღვაწეობას სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარის პოსტზე. ამ ტომში პირველად იბეჭდება მთელი რიგი სიტყვები, რომლებიც ფელიქს ედმუნდის-ძემ წარმოთქვა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე და რომლებიც ფ. ე. ძერჟინსკის ახასიათებენ როგორც ბოლშევიკური პარტიის ლენინური ერთიანობისათვის, მისი მტრების — ტროცკისტებისა და ზინოვიეველების წინააღმდეგ შეურიგებელ მებრძოლს. (საკდესი).

მეექვსე ხუთწლედის მოწინავე ადამიანები

ნოვატორი ამწყობი იოსებ ხაზარაძე

ს. ორჯონიკიძის სახელობის ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კოლექტივში მრავალი ნოვატორი მუშაობს. თავიანთი შემოქმედებითი შრომით მათ უდიდესი წვლილი შეაქვთ საწარმოს მიღწევებში, ტექნიკური პროგრესის საქმეში. ერთი მათგანია სიჩქარეთა კოლოფის საამქროს ნოვატორი ამწყობი იოსებ ხაზარაძე.

ი. ხაზარაძე ქუთაისის № 4 სახელოსნო სასწავლებლის აღზრდილია. რვა წლის წინათ მოვიდა იგი ქარხანაში. თავდაპირველად სიჩქარეთა კოლოფის საამქროში კბილანმჭრელად მუშაობდა. ახალგაზრდა მუშამ თავიდანვე გამოიჩინა თავი და მალე იმავე საამქროს ამწყობი გახდა. აქ მიეცა ფართო გზა მის შემოქმედებითს უნარსა და ნიჭს.

ი. ხაზარაძე სამოცზე მეტი რაციონალიზატორული წინადადების ავტორია. მათი დიდი ნაწილი უკვე დანერგილია წარმოებაში. მარტო წელს მან რამდენიმე მნიშვნელოვანი რაციონალიზატორული წინადადება შეიტანა და დანერგა.

ქარხნის კოლექტივმა იგი გაგზავნა რაციონალიზატორთა, გამომგონებელთა და წარმოების ნოვატორთა სრულიად საკავშირო თათბარზე. მოსკოვში ყოფნისას ხაზარაძე ეწვია ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხანას, გაეცნო იქ სიჩქარეთა კოლოფის საამქროს მუშაობას, რუს თანამოძმეთა მიერ განხორციელებულ ტექნიკურ სიახლეებს.

მშობლიურ საწარმოში დაბრუნების შემდეგ ი. ხაზარაძე ახალი ძალით შეუდგა მუშაობას, მოკლე ხანში შეიმუშავა და წარმოებაში დანერგა ახალი ძვირფასი რაციონალიზატორული წინადადებანი.

ი. ხაზარაძე

• • •

წინათ მეხუთე სიჩქარის კბილას ორივე შუბლის მხრიდან უკეთდებოდა 6 საზეთე ღარი, აგრეთვე ორი ტრაპეციული ღარი ბრინჯაოს მილისას ჩასაკეტად. კბილანის დამუშავებას აწარმოებდა ორი მუშა. ყოველ მათგანს სჭირდებოდა სამი რთული სამარჯვის გამოყენება. ხაზარაძემ ცვლილება შეიტანა კბილანის კონსტრუქციაში — კბილანას თვითეული მხრიდან მხოლოდ ორი ღარი გაუკეთა. ამ სიახლემ დიდად გააადვილა კბილანის დამუშავება. ახლა ამ ოპერაციას ერთ საღარავ ჩარხზე ერთი სამარჯვის გამოყენებით ასრულებს ერთი მუშა. წინადადების დანერგვით შრომის ნაყოფიერება ერთიორად და უფრო მეტად გადიდდა.

უკანა სვლის სიჩქარის კბილანზე პირველი და მეორე კბილის მოჭრის დროს დიდი ფხაურები რჩებოდა. მეორე კბილანზე ფხაურებს სპეციალური ხელსაწყოთი აშორებდნენ კბილმოსამრგვალებელ ჩარხზე. ეს დიდ დროს მოითხოვდა, ამასთან იწვევდა ძვირფასი ხელსაწყოების მწყობრიდან გამოსვლას. ხაზარაძის წინადადებით შეიცვალა ღარვის რეჟიმი. დეტალის დამუშავებას ახდენენ ზემოდან ქვემოთ, ამან გამოიწვია ფხაურების მოსპობა, ოპერაციათა რაოდენობის შემცირება, რამაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესა კბილანების ხარისხი.

ყველაზე მნიშვნელოვანი წინადადება, რომელიც ნოვატორმა განახორციელა, არის სიჩქარეთა კოლოფის შუალედი ლილვის კბილანის დამუშავება ახალი მეთოდით. წინათ შუალედი ლილვის კბილანის დამუშავება ორ ჩარხზე წარმოებდა. ერთ ჩარხზე ხდებოდა დეტალის წინასწარი დამუშავება, შემდეგ იგივე დეტალი უნდა მოეხსნათ და მეორე ჩარხზე გადაეტანათ. ამ ჩარხზე დეტალის დაყენების, საჭირისს კბილანებში გასწორებისა და საბოლოო დამუშავების მიუხედავად წუნს მაინც ვერ დააღწევენ თავი. ნოვატორმა ამწყობმა შუალედი ლილვის კბილანის დამუშავების დროს სპეციალური სამშესავლიანი თარგის გამოყენებით მიაღწია მთელი ამ ოპერაციის ერთ ჩარხზე შესრულებას.

თუ რამდენ ძვირფასია აღნიშნული ტექნიკური სიახლე, ჩანს იქიდან, რომ კბილანის დამუშავების გაადვილებასთან და დეტალის ხარისხის ამაღლებასთან ერთად, ოთხჯერ და მეტად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება.

ეს უკანასკნელი ტექნიკური გაუმჯობესება ნოვატორმა ამწყობმა წარმოებაში დასანერგავად გაუგზავნა მოსკოველ თანამოძმეებს.

ი. ხაზარაძემ, რომელიც ახლა 1967 წლის ანგარიშში მუშაობს, ქარხანას 100 ათას მანეთზე მეტი ეკონომია მისცა. იგი თავის გამოცდილებას ხალისით უზიარებს ახალგაზრდა მუშებს. ახლა საამქროში ბევრი რაციონალიზატორია. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ საამქროს უფროსი ბ. გურესაშვილი, ოსტატი გ. ჭელიძე, ენერგეტიკოსი დ. ყუფარაძე, ამწყობი ი. კინწურაშვილი, უფროსი ოსტატი ვ. ლოპატანოვი, მექანიკოსი დ. ბენიძე და სხვები.

ავტომობილმშენებელი ნოვატორები და რაციონალიზატორები ყოველდღიურად აუმჯობესებენ მუშაობას, შემოქმედებითი შრომით თავიანთი წვლილი შეაქვთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა პირნათლად შესრულებაში.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

კომუნისტები წველადობის გაღიდებისათვის ბრძოლაში

რაიონის ცენტრიდან — დმანისიდან ხუთიოდე კილომეტრის დაშორებით, მდინარე მაშავერას ნაპირზე, მდებარეობს სოფელ ჯავახის XVII პარტყრილობის სახელობის კოლძეურნეობა. ეს რაიონის ერთ-ერთი მოწინავე კოლმეურნეობაა, რომელიც უკანასკნელ წლებში განუხრელად განამტკიცებს თავის ეკონომიკას. აქ მარცვლეული კულტურების დაძუძავებაში ფართოდ იყენებენ აგროტექნიკის ძიღწევებს, მემინდვრეობასა და მეცხოველეობაში წარმატებით ნერგავენ ყოველივე ახალს, პროგრესულს.

კოლმეურნეობაში ყოველწლიურად იზრდება პირუტყვის სულადობა და პროდუქტიულობა. მაგალითად, გასულ სამეურნეო წელს ყოველ 100 ჰექტარ მიწს სავარგულებზე მიიღეს 135 ცენტნერი რძე, 15,5 ცენტნერი ხორცი და 242 კილოგრამი მატყლი. წელს კი მიღებული იქნება 170 ცენტნერი რძე და 26 ცენტნერი ხორცი. მიმდინარე წლის 7 თვეში საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებულია 1.500-ზე მეტი ლიტრი რძე. გასული წლის ამავე პერიოდში კი მიღებული იყო 1.200 ლიტრი რძე.

საკოლმეურნეო წარმოების ყველა დარგის აღმავლობის ორგანიზატორია პირველადი პარტიული ორგანიზაცია, რომელიც 22 კომუნისტს აერთიანებს. კომუნისტები სათავეში უდგანან კოლმეურნეთა აქტივობას და რაზმავენ მათ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის საბრძოლველად. კომუნისტები დაუცხრომლად ზრუნავენ მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობისათვის. წინათ მეძროხეობის ფერმა კოლმეურნეობიდან 25 კილომეტრის დაშორებით იყო მოწყობილი და სოფელში დამზადებულ საკვებს იქ ეზიდებოდნენ. ეს დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. გასულ წელს სოფელში აგებულ იქნა ახალი საძროხე და სასილოსე ნაგებობები. მეცხოველეობის ფერმაში სხვებთან ერთად სამუშაოდ წავიდა მოწინავე კოლმეურნე ქალი კომუნისტი ნ. ოქრიაშვილი, რომელსაც 9 ძროხის მოვლა დაეკალა. მან მუშაობის დაწყების პირველ დღესვე ყურადღება მიაქცია ძროხების კვებისა და მოვლის წესების ზუსტად დაცვას. სპეციალისტების დახმარებით შეადგინა კვების ახალი რაციონი, რომლის მიხედვით თვითეულ ძროხას დღეღამეში საშუალოდ 4-5 კილოგრამ საკვებს აძლევს. ამან საგრძნობლად გაზარდა წველადობა. მოწინავე მწველავმა 1 იანვრიდან 1 აგვისტომდე საშუალოდ ერთ ძროხაზე 1.755 ლიტრი რძე მიიღო. მისი მაგალითისამებრ სხვა მწველავებმაც დაიწყეს მუშაობა და უკეთეს შედეგებსაც მიაღწიეს. ახლა ფერმაში 1956 წლის ამავე პერიოდთან შედარებით საშუალოდ ერთ ძროხაზე 300 ლიტრით მეტი რძეა მოწველილი.

გასულ წელს პარტიულმა ორგანიზაციამ ზოოტექნიკოსი ფ. დევნოზაშვილი პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღო. ამით შესაძლებელი გახდა ფერმაში პარტიული ჯგუფის ჩამოყალიბება. პარტიული ჯგუფის ორგანიზატორად არჩეულ იქნა კომუნისტი ფ. ბალახაძე. კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი ვ. ოქრიაშვილი, რაიკომის მდივანი დმანისის მტს-ის ზონაში ი. დევნოზაშვილი და ინსტრუქტორი შ. ციხელაშვილი რამდენჯერმე იყვნენ მეძროხეობის ფერმაში პარტჯგუფორგანიზატორ ფ. ბალახაძისათვის დახმარების გასაწევად. საქმიანმა დახმარებამ კარგი შედეგი გამოიღო. ფ. ბალახაძე უნარიანად წარმართავს პარტიული ჯგუფის მუშაობას. ამ რამდენიმე ხნის წინათ, როცა პირუტყვი საზაფხულო საძოვრებზე გადარეკეს, იქ ყველაფერი რიგზე როდი იყო. ჯერ კიდევ მოუწყობელი აღმოჩნდა წითელი კუთხე, მწყემსთა საყოფაცხოვრებო პირობებიც არ იყო სათანადოდ მოგვარებული. პარტიულმა ჯგუფმა განიხილა ეს საკითხები და კომუნისტებმა თვითონ მოჰკიდეს ხელი ამ საქმის მოგვარებას. ამჟამად მათ კარგად მოწყობილი წითელი კუთხე აქვთ. მწყემსები სისტემატიურად იღებენ ახალ ჟურნალ-გაზეთებს, ისმენენ რადიოს. წითელ კუთხეში გამოკრულია მწველავების ყოველდღიური და ყოველთვიური მაჩვენებლები. აქვეა გამოფენილი მეცხოველეობის მუშაკთა წარმატებების ამსახველი პლაკატები, სოციალისტური შეჯიბრების დაფა და სხვ.

მეძროხეობის ფერმაში საგიტაციო მუშაობას ეწევა ფერმის აღმრიცხველი კომუნისტი გ. ადუაშვილი. იგი ორმაშინაარსიან, ფერმის პრაქტიკულ მუშაობასთან მჭიდროდ დაკავშირებულ საუბრებს მართავს. აგიტატორი მეცხოველეებს დამაჯერებლად ესაუბრება იმ უდიდეს ზრუნვაზე, რასაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა იჩენენ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობისათვის. გ. ადუაშვილმა რამდენიმე საუბარი მიუძღვნა საბჭოთა ხალხის თავდადებულ შრომას, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის მზადებას.

მეცხოველეობა, როგორც კოლმეურნეობის წამყვანი დარგი, პარტიული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრშია. პარტიული ორგანიზაცია სისტემატიურად განიხილავს მეცხოველეობის საკითხებს, ამეღავნებს ნაკლოვანებებს და სახავს კონკრეტულ ღონისძიებებს მათ გამოსასწორებლად, ჯეროვან ყურადღებას აქცევს მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებას.

მაგალითად, ამას წინათ გამართული ღია პარტიული კრება მიეძღვნა ნამატის შენარჩუნებას და მოვლა-პატრონობას. კრებაზე მოხსენებით გამოვიდა ფერმის გამგე კომუნისტი ა. ჯინჭარაშვილი. როგორც მომხსენებელმა, ისე კამათში გამოსულებმა აღნიშნეს, რომ ნამატი მოუწყობელ სადგომშია მოთავსებული და მომვლელებიც არ არის საკმარისი. განხილულ საკითხზე კრებამ სათანადო დადგენილება მიიღო. განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად ნაკლოვანებები სწრაფად იქნა გამოსწორებული: ნამატისათვის გამოიყო შესაფერისი შენობა, ამასთან ფერმაში დამატებით გაიგზავნენ მომვლელები.

პირველადი პარტიული ორგანიზაციის ნაყოფიერი მუშაობის შედეგია ის, რომ კოლმეურნეობამ სახელმწიფოს ჩააბარა და მიჰყიდა 130 ტონა რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 65 ტონისა, ხორცი 15,1 ტონა ნაცვლად 10,4 ტონისა.

პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში ნაკლიც არის. კომუნისტები სუსტად იბრძვიან მოწინავე გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევების დანერგვისათვის. მეცხოველეთა შორის ფართოდ არ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. ამ ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის ბრძოლა პარტიული ორგანიზაციის, ყველა კომუნისტის გადაუდებელი ამოცანაა.

რ. დავითური,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

შეხვედრა ძველ ბოლშევიკებთან

ამას წინათ თბილისის ტრამვაელთა ახალ კლუბში დიდი გამოცოცხლება იყო. აქ თავი მოიყარეს ტრამვაის მოწინავე მუშებმა, მოსამსახურეებმა, ინჟინრებმა და მათი ოჯახის წევრებმა, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავთან დაკავშირებით ძველი რევოლუციონერების პატივსაცემად გამართულ შეხვედრაზე.

ამ დღეს ტრამვაელებს სტუმრად ეწვივნენ ძველი ბოლშევიკები: 26 ომსრის სახელობის ქარხნის ოსტატი ა. ზაკომოლდინი, ტრამვაის სახელოსნოს დურგალი გ. ხორხელი, სპილენძის ხატკეცი ქარხნის დირექტორი ნ. ორჯონიკიძე და საქართველოს სსრ ორთოპედიული ინსტიტუტის პროფესორი გ. მეკვანაძე.

პარტიული კომიტეტის მდივნის ამხ. ვ. პატარაიას შესავალი სიტყვის შემდეგ ძვირფას სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ტროლეიბუსების მეურნეობის უფროსმა ინჟინერმა ნ. გიორგობიანმა. შეხვედრაზე მოგონებებით გამოვიდნენ ხორხელი, ორჯონიკიძე, ზაკომოლდინი და მეკვანაძე. მათ დაწვრილებით ილაპარაკეს მეფის თვითმპყრობელობის შავბნელ რეჟიმზე, იმაზე, თუ რა მძიმე პირობებში უხდებოდათ რევოლუციური მუშაობა.

ამხ. ნ. ორჯონიკიძემ მადლობა გადაუხადა კომუნისტურ პარტიას იმისათვის, რომ მან, უბრალო მუშამ, მიაღწია წარმოების დირექტორის პოსტამდე.

ამხ. ზაკომოლდინი იხსენებს წარსულის იმ დღეებს, როცა ცამეტი წლის ბიჭი ოჯახის სიღარიბემ აიძულა მუშაობა დაეწყო ქარხანაში. კმაყოფილებით იგონებს თავის პირველ რევოლუციონერ მასწავლებლებს ზ. ჩოდრიშვილსა და იოსებ ბესარიონისძე სტალინს.

ვრცელი სიტყვა წარმოთქვა გ. ა. მეკვანაძემ. მან დამსწრეთ მოუთხრო თავისი ცხოვრების მრავალი საინტერესო ეპიზოდი. ამაღელვებლად უამბო თავისი შეხვედრის შესახებ მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელთან ვ. ი. ლენინთან.

შეხვედრაზე ძველ ბოლშევიკებს ცოცხალი ყვავილების თაიგულები მიართვეს.

შემდეგ ნაჩვენები იქნა კინოსურათი „პროლოგი“.

ინჟინერი მ. ჩოკრგოლაშვილი.

საკლესიო განცხადებები

ომანის ამბების გამო

ომანის — არაბეთის ნახევარკუნძულის არაბული სამთავროს ამბები ყველა ქვეყნის საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია. ომანის ხალხის მასები აღდგნენ თავიანთი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად. ომანის ხალხის მამაცურმა ბრძოლამ უცხოელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ მხურვალე გამოხმაურება და მხარდაჭერა ჰპოვა არაბეთის ნახევარკუნძულის არაბთა ყველა ქვეყანასა და სამთავროში, სადაც ჯერ კიდევ ბატონობენ კოლონიზატორები.

პირველ დღეებში დასავლეთის სახელმწიფოთა ოფიციალური წრეები და ბურჟუაზიული პრესა, კომენტარს უკეთებდნენ რა ომანის ამბებს, ცდილობდნენ საქმე ისე წარმოედგინათ, თითქოს ლაპარაკი იყო ომანელთა ორი მტრული დაჯგუფების შინაბრძოლაზე. მაგრამ ამბების მსვლელობამ მალე ამხილა ეს მტკიცება და ცხადყო, რომ ომანელი ხალხის ბრძოლის აზრია მისწრაფება გათავისუფლოს თავისი ქვეყანა უცხოეთის ბატონობისაგან და სრული დამოუკიდებლობა მოუპოვოს მას.

განცხადებაში, რომელიც გამოაქვეყნა ომანის წარმომადგენლობამ კაიროში, აღნიშნულია, რომ „ომანში წარმოებული ომი წარმოადგენს ომანელი ხალხის ბრძოლას აგრესიული იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ეს არის ომანის ხალხის ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ბრძოლა ინგლისის იმპერიალიზმის იმ ცდების წინააღმდეგ, რომ ჩაერიოს ომანის საშინაო საქმეებში და დაიმონოს ომანელი ხალხი“. ომანის წარმომადგენელმა კაიროში ჰარსიმ განაცხადა, რომ ომანის დამოუკიდებლობა ინგლისმა ცნო და განმტკიცებულ იქნა ხელშეკრულებით, რომელსაც ხელი მოაწერა ინგლისის მთავრობის წარმომადგენელმა. მაგრამ მას შემდეგ, რაც 1955 წელს გამოცხადდა, რომ ომანში აღმოჩნდა ნავთობის დიდი საბადოები, ინგლისის ჯარებმა დაარღვიეს არსებული ხელშეკრულება და ომანში შეიჭრნენ. ომანის ხალხი აღდგა თავისი დამოუკიდებლობის დასაცავად, და ეს ბრძოლა დღესაც გრძელდება.

ომანელი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალმა აღმავლობამ შეშფოთება გამოიწვია კოლონიზატორთა ბანაკში. ინგლისის ჯარებმა სასწრაფო წესით გადაიყვანეს ამ რაიონში სამხედრო-საჰაერო, სამხედრო-საზღვაო და სახმელეთო ძალები. 24 ივლისიდან დაიწყო ომანის დასახლებული პუნქტების გაფთრებული დაბომბვა. ომანის მშვიდობიან მცხოვრებლებზე თავდასხმებში მონაწილეობას იღებენ „ვენომის“ და „მეტეორის“ ტიპის რეაქტიული ავიაგამანადგურებლები, ოთხმოტორიანი ბომბდამშენები „შეკლტონი“. ომანში გადაიყვანეს და უკვე მოქმედებენ ინგლისის რეგულარული ჯარის ნაწილები, მათ შორის შოტლანდიელ მთიელთა კომანდოს პოლკი, რომელსაც ჯავშანსატანკო ტექნიკა ეხმარება, და ჯარის სხვა ნაწილები.

იმ ღონისძიებათა მიუხედავად, რომლებიც ინგლისის ხელისუფლებამ მიიღეს, რათა ცნობები ომანში ინგლისის ჯარების მოქმედების შესახებ ინგლისის ფარგლებს არ გასცდენოდა, ცნობილი გახდა ომანის მოსახლეობის მიმართ ინგლისის შეიარაღებული ძალების სასტიკი მოქმედების მრავალი ფაქტი. რამდენიმე კვირის განმავლობაში ინგლისის ბომბდამშენები და ავიაგამანადგურებლები განუწყვეტლად ბომბავენ ომანის ქალაქებსა და სოფლებს და მშვიდობიან მცხოვრებთა წინააღმდეგ იყენებენ მოსპობის უახლეს საშუალებებს, მათ შორის რაკეტულ იარაღს, ცეცხლგამჩენი ბომბებით და რაკეტებით სავსებით დანგრეულია ომანის ქალაქი არიდი და ახლომახლო სოფლები. არის ბევრი მოკლული და დაჭრილი, მათ შორის ქალები, ბავშვები და მოხუცები. ამასთან ინგლისის ჯარებმა იცოდნენ, რომ ქალაქ არიდსა და მის მიდამოებში არ ყოფილა არავითარი სამხედრო ობიექტი ან შეიარაღებული რაზმი. სეროიზულად დაზარალდნენ აგრეთვე ომანის სხვა ქალაქები და სოფლები.

ინგლისის ჯარები ომანის მშვიდობიან მცხოვრებთა წინააღმდეგ ბრძოლის არაადამიანურ მეთოდებს იყენებენ. ისინი დაუცველ ქალაქებსა და სოფლებს აყრიან მსხვრევად და ეცეცხლგამჩენ ბომბებს, აიძულებენ ომახელებს თავიანთი სახლკარი მიატოვონ და თავშესაფარი ეძებონ უდაბნოსა და მთებში. მაგრამ გზაში მათ ეწევიან ინგლისის რეაქტიული ავიაგამანადგურებლები და მცელავი ფრენით ხვრეტავენ მათ. ომანის სრულიად უდანაშაულო მშვიდობიან მცხოვრებლებზე სისხლისმღვრელი ნადირობა ნავარაუდევია იმისათვის, რომ დააშინონ ხალხის მასები და გატეხონ მათი მისწრაფება თავიანთი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისადმი. ინგლისურმა გაზეთმა „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტმა“ აშკარა ცინიზმით განაცხადა ამას წინათ, რომ ბრიტანეთის თვითმფრინავებმა „მოწიწება უნდა ჩაუნერგონ ტომებს, რომლებსაც არასოდეს არ უნახავთ მოქმედი რეაქტიული თვითმფრინავები, როცა ლენინი ქვემეხს ისვრიან“. გაზეთი შემდეგ წერს: „ინგლისის სიმტკიცის ჩვენება საჭიროა, რათა შენარჩუნებულ იქნას პრესტიჟი სპარსეთის ყურის სამთავროებში, რომლებსაც ნავთობის საბადოები და სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ“.

მაგრამ ასეთმა სასტიკმა მეთოდებმაც კი ვერ გატეხა ომანელი ხალხის სიმტკიცე. მიუხედავად ინგლისელი კოლონიზატორების უდიდესი სამხედრო უპირატესობისა, რომლებმაც პრიძიტიულად ძეიარაღებული სახალხო რაზმების წინააღმდეგ გამოიყვანეს რეგულარული ჯარის ნაწილები და უაღრესად თანამედროვე სამხედრო ტექნიკა, ისინი დღემდე ვერ ახერხებენ გატეხონ ომანელი ხალხის წინააღმდეგობა. ინგლისის სარდლობა, რომელიც აშკარად გაბრაზებულია ომანელთა მხრივ მისთვის მოულოდნელი წინააღმდეგობით, უკვე სრულიად მოურიდებლად იმუქრება ომანელი ხალხის წინააღმდეგ გააჩაღოს „შეუზღუდველი“ საომარი მოქმედება. ამერიკული სააგენტოს „ასოშიეიტედ პრესის“ ცნობით, ინგლისის ჯარების შტაბის წარმომადგენელმა სპარსეთის ყურის რაიონში განაცხადა: „არ არსებობს არავითარი პოლიტიკური დაბრკოლება ყოველგვარი ძალის გამოყენებისათვის, რაც საჭიროა ამ წინააღმდეგობის დასაძლევად“.

ინგლისის ხელისუფალთ ომანის საშინაო საქმეებში სამხედრო ჩარევა სურთ გაამართლონ იმის დამოწმებით, რომ არსებობს „ძველი ტრადიციული ურთიერთობა“ ინგლისსა და მასკატის სულთანს შორის და რომ თითქოს მისი თხოვნითაც შეიჭრნენ ისინი ომანში. მაგრამ ეს კოლონიური „ურთიერთობა“ არ შეიძლება გამოდგეს ომანში ინგლისის შეიარაღებული ძალების ინტერვენციის რაიმე საფუძვლად, რადგან ეს ინტერვენცია წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ძირითადი პრინციპების უხეშ დარღვევას და ადამიანობისა და მორალის ელემენტარული ნორმების აშკარად გათელვას.

უფლებად არ შეიძლება მიჩნეულ იქნას ძარცვა და ავაზაკობა, რაც ახლა ხორციელდება არაბთა პატარა ქვეყნის — ომანის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ კოლონიური ომის გზით. არ შეიძლება ოდნავადაც კი უფლებად იქნას მიჩნეული, რომ 1955 წელს ინგლისელმა კოლონიზატორებმა თავიანთი დაყენებული მაკატის სულთნის არმიის დახმარებით, რომელიც ინგლისელ ოფიცერთა ხელმძღვანელობით მოქმედებდა, დაიკავეს ომანის არაბული სამთავრო და ცდილობდნენ თავიანთი დიქტატისათვის დაემორჩილებინათ მისი ხალხი.

ომანის უკანასკნელი ამბები ცხადყოფენ, რომ კოლონიზატორებს სათანადო გაკვეთილები არ გამოუტანიათ ეგვიპტის წინააღმდეგ ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის სამხედრო ავანტიურის ჩაფუშვიდან. ინგლისის ხელისუფალნი კვლავ იყენებენ არაბთა ქვეყნების საშინაო საქმეებში შეიარაღებული ჩარევისა და იქ მორჩილ ფეოდალ მმართველთა დაყენების ძველ, უკვე დიდი ხანია დრომოჭმულ კოლონიურ მეთოდებს, რომლებიც წინათ მათთვის უზრუნველყოფდნენ ბატონობას ამ რაიონში. მაგრამ ახლა სხვა დროა და ვერავითარი სადამსჯელო ძეთოდებით ვერ იხსნიან კოლონიურ სისტემას, რომელიც იფუშება აღმოსავლეთის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგად.

მაგრამ, როგორც ფაქტები ცხადყოფენ, მარტო ინგლისელი კოლონიზატორები როდი არიან დაინტერესებულნი ომახში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობით. ამ სამთავროში გაჩაღებულმა ამბებმა კვლავ გამოავლინა მწვავე წინააღმდეგობა ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის და ახლო აღმოსავლეთში ამერიკის შეერთებული შტატების ორპირობა, რომლებიც იყენებენ არაბი ხალხების სიძულვილს ინგლისელი კოლონიზატორებისადმი და თავს ასაღებენ მშვიდობისმყოფელებად, ნამდვილად კი ცდილობენ დაიკავონ ძველი კოლონიური სახელმწიფოების ადგილი და ამ რაიონში თავიანთი კოლონიური ბატონობა დაამყარონ.

ცნობილია, რომ არაბეთის ნახევარკუნძული მდიდარია ნავთობით, ამასთან მისი ნავთობის წყაროები ხელთ იგდეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მონოპოლიებმა. ახლო და შუა აღმოსავლეთის ნავთობის წყაროების ექსპლოატაცია, სადაც კაპიტალისტური სამყაროს ნავთობის სიმდიდრეთა მარაგის მნიშვნელოვანი ნაწილია, დასავლეთის სახელმწიფოთა ნავთობის მონოპოლიებს კოლოსალურ მოგებას აძლევს. მარტო ერთმა ნავთობის ამერიკულმა კომპანიამ „არამკომ“, რომელიც არაბეთის ნახევარკუნძულზე მოქმედებს, 1955 წელს მიიღო 581,2 მილიონი დოლარი მოგება, ხოლო ინგლის-ამერიკის შერეულმა კომპანიამ „კუვეიტ ოილ კომპანიამ“ კუვეიტის ნავთობის ექსპლოატაციით 652,9 მილიონი დოლარი მიიღო. 1956 წელს ნავთობის მონოპოლიების მოგება მნიშვნელოვნად გადიდდა. ამასთან არაბთა ქვეყნები, რომელთა ტერიტორიებზე იღებენ ნავთობს ამ ხალხთა ოფლისა და სისხლის ფასად, ამ კოლოსალური სიმდიდრის მხოლოდ უბადრუკ ნამცეცებს იღებენ. მოგების მიღებისათვის დასავლეთის სახელმწიფოთა მონოპოლიები არ ერიდებიან არავითარ დანაშაულს თავისუფლებისმოყვარე არაბი ხალხების წინააღმდეგ. არაბთა ქვეყნების ყველაზე ძვირფასი ეროვნული სიმდიდრე — ნავთობი მათ ახლო და შუა აღმოსავლეთის ხალხთა უბედურების წყაროდ გადააქციეს.

ამერიკისა და ინგლისის ნავთობის მონოპოლიებს შორის ჩაღდება სულ უფრო გაფთრებული ბრძოლა არაბეთის ნახევარკუნძულზე, მთელ ახლო და შუა აღმოსავლეთში ნავთობის ახალი საბადოების ხელში ჩასაგდებად და ძველი საბადოების შესანარჩუნებლად. ამერიკელი მონოპოლისტები, რომლებმაც ისარგებლეს ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონში ინგლისის პოზიციების შესუსტებით, ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ინგლისელი კონკურენტები განდევნონ ამ რაიონიდან და ხელთ იგდონ არაბთა მთელი ნავთობის სიმდიდრე.

ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები ძლიერ ზეგავლენას ახდენენ ინგლისის მთავრობაზე და აიძულებენ მას გააკეთოს შემდგომი დათმობანი ნავთობით მდიდარ რაიონებში. ამას უკავშირებენ ამერიკის ეროვნულ შტატების სახელმწიფო მდივნის დალესის ამასწინანდელ გამგზავრებას ლონდონში. უცხოეთის პრესის ცნობებით, ლონდონის მოლაპარაკების მსვლელობაში საქმე ეხებოდა არაბეთის ნახევარკუნძულის ამ ნაწილში ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის გავლენის სფეროების ხელახლა გაყოფას და არაბ ხალხთა ზურგსუკან წყდებოდა ბურაიმის ოაზისისა და ომანის ბედი. ამასთან დაკავშირებით, როგორც ინგლისური გაზეთები იუწყებიან, დალესმა მოითხოვა, რომ ინგლისის მთავრობამ მიიღოს ახალი ღონისძიებანი ომანში აჯანყების ჩასახშობად. დალესმა გააფრთხილა ინგლისის მთავრობა, რომ თუ იგი დააყოვნებს აჯანყებულთა წინააღმდეგ ღონისძიებათა მიღებას, აჯანყება მეიძლება გავრცელდეს ნავთობით მდიდარ სხვა ქვეყნებზე სპარსეთის ყურის რაიონში, რაც საფრთხეს შეუქმნის დასავლეთის სახელმწიფოთა ინტერესებს ამ რაიონში. მან მოითხოვა, რომ ომანში ახალი სამხედრო კონტინგენტები გაიგზავნონ.

ამასთან ერთად მოდის სხვა ცნობებიც, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ნავთობის მონოპოლიები ისწრაფვიან ომანელი-ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობა გამოიყენონ იმისათვის, რომ ხელთ იგდონ ომანის ნავთობის რესურსები. მაგრამ რა ვარაუდებიც უნდა ჰქონდეთ ამერიკის ნავთობის მონოპოლიებს და მათს დამჭაშებს არაბთა ქვეყნებში, რა განცხადებითაც უნდა ჩქმალავდნენ თავიანთ სისხლისმღვრელ მოქმედებას ომანში, არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ ომანელი ხალხი თავდადებით იბრძვის და საკუთარ სისხლს ღვრის არა ამერიკის ნავთობის მონოპოლიების ინტერესებისათვის, არამედ იმისათვის, რომ თავი იხსნას კოლონიური ჩაგვრისაგან, საიდანაც უნდა მომდინარეობდეს იგი.

ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია ომანის საკითხში გამომდინარეობს „დალეს-ეიზენჰაუერის დოქტრინიდან“, რომლის დახმარებითაც ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობენ კოლონიალიზმის ეღელი დაადგან არაბ ხალხს.

ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია ომანის ამბების მიმართ ერთხელ კიდევ ადასტურებს ახლო და შუა აღმოსავლეთში ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის კოლონიალისტურ ხასიათს. როგორც ცნობილია, ახორციელებენ რა ამ პოლიტიკას, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოაწყეს მთავრობის რეაქციული გადატრიალება იორდანიაში, მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულებანი სირიასა და ეგვიპტეში, ისრაელის ექსტრემისტული წრეების პროვოკაციები არაბთა ქვეყნების წინააღმდეგ.

ამერიკის შეერთებული შტატების მთელი ეს ძირგამომთხრელი ღონისძიებანი წარმოადგენენ „დალეს-ეიზენჰაუერის დოქტრინის“ მოქმედებაში. მათი მიზანია არაბთა ერთიანობისათვის ძირის გამოთხრა, ის, რომ გათიშონ არაბთა ქვეყნები, ეჭვი და უნდობლობა დათესონ მათ შორის და სათითოოდ დაუმორჩილონ ისინი ამერიკის ბატონობას.

მაგრამ არაბმა პატრიოტებმა კარგად იციან, რომ განხეთქილება და ეჭვები, რასაც მათ შორის თესავენ დასავლეთელი კოლონიზატორები, შეიცავენ მომაკვდინებელ საფრთხეს არაბული აღმოსავლეთის ქვეყნების ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, რომელიც მოპოვებულია კოლონიზატორთა წინააღმდეგ შედგარი ბრძოლით. აი ამიტომ ინგლისელ კოლონიზატორთა საომარი მოქმედება ომანში და ამერიკის ძირგამომთხრელი ღონისძიებანი ახლო და შუა აღმოსავლეთში არაბი ხალხების გულისწყრომასა და აღშფოთებას იწვევენ. მათ ომანელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლა სამართლიანად მიაჩნიათ თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის არაბული აღმოსავლეთის ხალხთა საერთო ბრძოლის ნაწილად.

არაბთა ქვეყნების ხალხები ერთსულოვნად გმობენ დასავლეთის სახელმწიფოთა კოლონიალისტურ პოლიტიკას და მტკიცედ მოითხოვენ შეწყდეს მათი ჩარევა არაბთა საშინაო საქმეებში. ომანის აჯანყებული ხალხის მხარდასაჭერად გამოვიდა არაბთა სახელმწიფოების ლიგა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება უშიშროების საბჭოში შეიტანოს საკითხი ომანის საშინაო საქმეებში ინგლისის ჩარევის შესახებ.

ომანის ხალხის ბრძოლა მხურვალე თანაგრძნობას ჰპოულობს ინდოეთისა და ბანდუნგის სხვა ქვეყნების საზოგადოებრიობის, აგრეთვე ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის მხრივ.

საბჭოთა საზოგადოებრიობაც მხურვალედ თანაუგრძნობს ომანის ხალხის სამართლიან ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას და გადაჭრით გმობს ამერიკელი და ინგლისელი კოლონიზატორების ხრიკებს, რომლებიც ღვრიან არაბი ხალხის სისხლს ნავთობის მონოპოლიების უდიდესი მოგების ინტერესებისათვის. საბჭოთა ადამიანებისათვის მახლობელი და გასაგებია არაბი ხალხის მისწრაფება განთავისუფლდეს უცხოეთზე დამოკიდებულებისაგან და მოიპოვოს სრული დამოუკიდებლობა. ამიტომ საბჭოთა ხალხი მტკიცედ ილაშქრებს ომანელი ხალხის საქმეებში ყოველგვარი ჩარევის წინააღმდეგ, ომანელი ხალხისა, რომელსაც უფლება აქვს თავისი ბედი საკუთარი შეხედულებით გადაჭრას.

ომანის ამბები ხდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XII სესიის გახსნის წინ. ინგლისელი და ამერიკელი კოლონიზატორები ითვალისწინებენ ამას და ისწრაფვიან რაც შეიძლება მალე ჩაახშონ სისხლში ომანელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რათა მათ მიერ ომანში გაჩაღებული ბინძური კოლონიური ომი გენერალური ასამბლეის გახსნამდე დაამთავროს. ისინი შიშობენ, რომ მათი აგრესიული პოლიტიკა ახლო და შუა აღმოსავლეთში მხილებულ იქნება მთელი მსოფლიოს წინაშე გენერალურ ასამბლეაზე. მაგრამ კოლონიზატორები ვერ გაექცევიან პასუხისმგებლობას ომანელი ხალხის წინააღმდეგ თავიანთი სისხლისმღვრელი დანაშაულობისათვის.

ომანის ამბებს ყურადღება უნდა მიაქციოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, რომელიც მოწოდებულია ზრუნავდეს მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების დაცვისათვის. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა ვალია დაუყოვნებლივ შეაჩერონ კოლონიზატორთა ინტერვენცია ომანში და აღიკვეთონ მათი ჩარევა არაბი ხალხების საშინაო საქმეებში.

ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის მომავალი გამგზავრებისათვის

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ტოხ დიკ თხანგმა 1957 წლის 1 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. პ. პ. ლობანოვისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ვ. ტ. ლაცისის სახელზე გამოგზავნა წერილი, რომელშიც ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების მუდმივი კომიტეტის სახელით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია 1957 წლის ოქტომბერში მიიწვია ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. წერილში გამოთქმულია რწმენა, რომ ეს ვიზიტი ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირისა და ვიეტნამის მეგობარ ხალხებს შორის ურღვევი მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

ამხ. ტონ დიკ თხანგს აცნობეს, რომ სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ დიდი კმაყოფილებით მიიღო მიწვევა მიმდინარე წლის ოქტომბერში ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაგზავნოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია მეგობრული ვიზიტით, რომელიც ხელს შეუწყობს სსრ კავშირისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხებს შორის ურღვევი მეგობრობის ძმური ურთიერთობის განვითარებასა და განმტკიცებას, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების დეპუტატებს შორის მჭიდრო თანამშრომლობას.

ათქმოთქმნის მხის ქვეშ

მინგეჩაური

თბილისელებს რომ უთხრათ, მტკვარი თვითნება და ბობოქარი მდინარეაო, უთუოდ სიცილს დაგაყრიან. მართლაც, ბევრს უცნაურად მოეჩვენება, თუ ეტყვით, რომ ჩვენი დედაქალაქის ახალ სანაპიროთა ბეტონის არტახებში ჩამწყვდეული წყნარად მოდუდუნე მტკვარი ბევრ უსიამოვნებასა და ზარალს აყენებს ჩვენი მეზობელი რესპუბლიკის — მოძმე აზერბაიჯანის მდინარისპირა სოფლების მცხოვრებთ. მაგრამ ეს ასეა. მტკვარი, ჩვენი რესპუბლიკიდან აზერბაიჯანის ტერიტორიით კასპის ზღვისაკენ რომ მიედინება, არცთუ იშვიათად თავის კალაპოტი ეთვლარ ეტევა. გადმოლახავს ხოლმე ნაპირებს, ძირფესვიანად გლეჯს სუკუნოვან ხეებს, ანადგურებს ველ-მინდვრებს.

თავის დროზე, როცა მთებიდან მოჩამავალმა პირველმა ნაკადულებმა ერთად შეყრილმა მდინარე მტკვარი წარმოშვეს, როცა მან დიდი ხნის უგზოუკვლოდ ხეტიალის შემდეგ საბოლოოდ აირჩია გზა ალმოსავლეთისაკენ, მას წინ აღუდგა ბოზ-დაღის მთა. მდინარეს გზა დაეხშო, მაგრამ მისმა მძლავრმა ზვირთებმა უკან არ დახიეს, მძლავრად ეკვეთნენ, გაპეს „გათავხედებული“ მთა და წინ გაიკრნენ...

და აი იქ, სადაც მტკვარი შუაზე ჰყოფს ბოზ-დაღს, სამახსოვრო ათას ცხრაას ორმოცდახუთ წელს, სულ მალე მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხალხმა ძლევამოსილად დაამთავრა დიდი სამამულო ომი, გამოჩნდნენ პირველი მშენებლები. ისინი აქ ცოვიდნენ, რომ გზა გადაეღობათ ამბოხებული მდინარისათვის, აელგამთ იგი და ხალხის სამსახურში ჩაეყენებინათ მისი ენერგია. ბოზ-დაღის „ყართან“ დაიწყო გრანდიოზული ჰიდროკვანძის მშენებლობა, რომელმაც თავისი სახელწოდება ბოზ-დაღის კალთებზე შეხიზნული პატარა სოფელ მინგეჩაურიდან მიიღო.

თავაშვებული მდინარის დასამონებლად ბოზ-დაღის „ყართან“ მოსული საბჭოთა ადამიანები არც კი იფიქრებდნენ, რომ მინგეჩაური, რომელიც წარმოშობილია აზერბაიჯანულ „მინ გალ ჩავარ“-იდან, თურმე ნიშნავს: ცხენზე შეჯექ, გვესტუმრე და უკანვე გაბრუნდიო. მართლაც ამ ხრიოკ და გადატრუსულ ველზე ვინ გაჩერდებოდა! მაგრამ ამან როდი შეაკრთო პარტიის მოწოდებით აქ მოსული საბჭოთა პატრიოტები. ისინი არ შეუშინდნენ არც უკაცრიელ ველს, არც კოღოს აურაცხელ გუნდებს, თავისუფლად რომ დანავარდობდნენ ბოზ-დაღის „ყარის“ მიდამოებში. ისინი მეედრად შეეკონენ ბუნებას, შეუდგნენ მის გარდაქმნას, აქაური პეიზაჟების შეცვლას.

ამბობენ, „მთა მთას არ შეხვდებაო...“, მაგრამ მინგეჩაურის ჰიდროკვანძის მშენებლობაზე ჩამოსულმა საბჭოთა ადამიანებმა ეს ძველი თქმულებაც უარყვეს. მტკვრის ამბოხერებული ტალღებით შუაზე გაკვეთილი ბოზ-დაღი კვლავ შეაერთეს მიწის დიდებული კაშხალით, შეაერთეს მტკიცედ და სამუდამოდ, გამოღმა მთა გაღმა მთასთან დაკავშირეს.

— ჩვენი კაშხალი თავისი სიმაღლით მსოფლიოში პირველია, — სიამაყის გრძნობით გვეუბნება მინგეჩაურის ჰესების კასკადის დირექტორი ომარ ალიევი. და განა მარტო ის? ყველა, ვისაც ვესაუბრეთ მინგეჩაურში ჰესის შესახებ, არ მალავდა თავის სიხარულს ომის გამო, რომ მოშრე იყო ის მართლაც საარაყო თავდადებისა, რაც გამოიჩინეს მშენებლებმა მსოფლიოში ამ უმაღლესი კაშხალის ასაგებად. მართლაც გრანდიოზულ სანახაობას წარმოადგენს კაშხალი, რომელიც მიწისმწოვი მექანიზმების საშუალებით დალეწილი 11 მილიონი კუბური მეტრი ქვიშისა და ხრეშისაგან აღუმართავთ მდინარე მტკვრისათვის გზის გადასაღობავად.

კაშხალის აგება 1951 წლის გაზაფხულზე დაიწყო და უკვე 1953 წელს აზერბაიჯანის რეკაზე პირველად გამოჩნდა „მინგეჩაურის ზღვა“. იქ, სადაც ოდესაც შრიალებდა სამუხის გაუვალი ტყე, წარმოიქმნა უზარმაზარი ხელოვნური წყალსაცავი, რომლის სიგრძე 75 კილომეტრია, ხოლო სიგანე 14 კილომეტრამდის. გასაკვირი ამ წყნარად მოლივლივე ზღვის ცისფერ სივრცეს და არ გინდა დაიჯერო, რომ მას ქმნის სამი მღვრიე მდინარე — მტკვარი და მისი, არანაკლებ თვითნება უმცროსი დები იორი და ალაზანი.

კაშხალის მეორე მხარეს აღმართულია ჰიდროელექტროსადგურის მშვენიერი შენობა. ჰიდროსადგური მინგეჩაურის ზღვის წყალს იღებს სპეციალურად აგებული წყალმიმღებიდან მიწის კაშხალში დატანებულ ერთი მილიონი კუბური მეტრი საერთო მოცულობის რკინაბეტონის ნაგებობათა საშუალებით.

ამ გრანდიოზულ სამშენებლო სამუშაოებში მინგეჩაურელებს მთელი ჩვენი ქვეყანა ეხმარებოდა. მშენებლები აღჭურვილი იყვნენ თანამედროვე მექანიზმებითა და სატრანსპორტო საშუალებებით. სამასზე მეტი ქარხანა ამარაგებდა მინგეჩაურელებს მოწყობილობით, მექანიზმებით, საშენი მასალებით. მოძმე რესპუბლიკებიდან მინგეჩაურისაკენ მიეშურებოდნენ გამოცდილი ინჟინრები, ტექნიკოსები, ოსტატები.

მინგეჩაურში აზერბაიჯანის ყოველი კუთხიდან ჩამოდიოდნენ მშენებელთა დასახმარებლად. ჩამოსულ ახალგაზრდათაგან ბევრი არც ერთ სპეციალობას არ ფლობდა, მაგრამ გულმოდგინედ სწავლობდნენ, იძენდნენ სპეციალობას. 17 წლისა იყო სარვან სალმანოვი, როცა 1945 წელს კომკავშირული საგზურით ისმაილის რაიონის სოფელ ზაღანლიყიდან მშენებლობაზე ჩამოვიდა. რუსმა ამხანაგმა ვლადიმერ კარპუნიმმ მას ექსკავატორის მართვა შეასწავლა. შრომისმოყვარე, დაინტერესებული ახალგაზრდა ისე მშვენივრად დაეუფლა ახალ, მანამდე მისთვის უცნობ პროფესიას, რომ მალე თავისი გამოცდილება სომეხ ამხანაგს ნაღდან ჩაბიანს გადასცა. ექვსი წელი სახელოვნად ამუშავა ექსკავატორი სარვანმა და როცა ჰესი ამუშავებისათვის ემზადებოდა, გადაწყვიტა ენერგეტიკოსი გამხდარიყო. 1953 წელს დნეპრჰესზე გაგზავნეს, სადაც ახალი სპეციალობა შეიძინა. ახლა სარვან სალმანოვი, აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მინგეჩაურის ჰიდროელექტროსადგურის ელექტრო-სამანქანო საამქროს ცვლის უფროსია. ასეთი გზა განვლო მინგეჩაურში ათობით და ასობით ახალგაზრდა აზერბაიჯანელმა.

მინგეჩაურის მოწინავე ადამიანები. სურათებზე (მარცხნიდან მარჯვნივ): ზედა რიგში — ჰესის ელექტროსამანქანო საამქროს ცვლის უფროსი ს. სალმანოვი, მექანიკური სახელოსნოს უფროსი ი. კიაშკო, მეხუთე უბნის უფროსი ა. კორძაია; ქვედა რიგში — ჰესის უფროსი ელექტრომონტიორი გ. ხაჩატრიანი, მინგეჩაურმშენის საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი ინჟინერი ჭ. თარგამაძე, ინჟინერ-გეოდეზისტი ა. ალიევი.

მინგეჩაურის მშენებლობა საყოველთაო-სახალხო მშენებლობა იყო. აზერბაიჯანელების მხარდამხარ აქ თავდადებით შრომობდნენ რუსები და უკრაინელები, ქართველები და სომხები, სულ 20 სხვადასხვა ეროვნების ადამიანები. სხვადასხვა რესპუბლიკებიდან მშენებლობაზე ჩამოსულთა შორის იყვნენ ახალგაზრდა ქართველი ინჟინრები, რომლებმაც იმ წლებში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და თბილისის ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი დაამთავრეს.

დადგა სასისხარულო დღეც. 1954 წლის 10 იანვარს ამუშავდა ჰიდროსადგურის პირველი ორი აგრეგატი. მინგეჩაურიდან წავიდა დენი ბაქოში, კიროვაბადში, პირველი ელნათურები აკაფდნენ ახლომახლო საკოლმეურნეო სოფლებში.

მშენებლებმა პირნათლად შეასრულეს ამ სასიხარულო ამბავთან დაკავშირებით გამართულ მიტინგზე ნაკისრი ვალდებულება, და სულ მალე ამუშავდა ჰესის დანარჩენი ოთხი აგრეგატიც. ამით ძწყობრში ჩადგა მინგეჩაურის ჰიდროელექტროსადგური, რომელიც უდიდესია მთელ ამერკავკასიაში.

მინგეჩაურჰესისდან მიღებული ენერგია ხმარდება ბაქოს, აზერბაიჯანის ნავთობის მრეწველობას, მის ქარხნებსა და ფაბრიკებს, მტს-ებსა და კოლმეურნეობებს. მინგეჩაურჰესი ელექტროენერგიას აწვდის არა მარტო აზერბაიჯანს, არამედ ამიერკავკასიის რკინიგზასაც და ჩვენს რესპუბლიკასაც. როცა მინგეჩაურის ჰიდროსადგურის საგენერატორო შენობის სამანქანო საამქროში მოვხვდით და გავიცანით ამ საამქროს ერთ-ერთი უფროსი ოსტატი, ჩვენი თანამემამულე ლევან მაზანაშვილი, პირველი, რაც მან გვიჩვენა, ეს იყო ჰესის მეოთხე და მეექვსე აგრეგატები, რომლებიც მუშაობენ ჩვენი რესპუბლიკისათვის ელექტროენერგიის გამომუშავებაზე. ლევან მაზანაშვილი დაგვყვება და გულდასმით გვათვალიერებინებს ჰიდროსადგურს, სიამაყით მოგვითხრობს იმ თავდადებულ მუშაობაზე, რასაც სადგურის მშენებლობისა და მისი ამუშავების შემდეგაც ეწეოდნენ აქ საქართველოს წარგზავნილები. ბევრი მათგანი მინგეჩაურში აღარ არის, სხვა მშენებლობებზე გადაიყვანეს. ლევანმა კი არ მიატოვა მინგეჩაური. ეს გამოცდილი ჰიდრომექანიკოსი, რომელმაც დიდი სკოლა გაიარა ზაჰესში და ხრამჰესში ხანგრძლივი მუშაობით, დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს მინგეჩაურში. სწორედ ამიტომ არის, რომ ჰესის მოწინავე მუშაკთა შორის მას მუდამ ერთ-ერთ პირველს ასახელებენ. თავდადებული შრომით გამოირჩევიან აგრეთვე ყოფილი მეექსკავატორე, ამჟამად ჰესის ცვლის უფროსი ჰალილ უმაროვი, მემანქანე ახმედ მამედოვი, ზეინკლები კ. მუსაევი, ა. სულეიმანოვი, უფროსი მონტიორი გ. ხაჩატრიანი, მორიგე ინჟინერი მ. რაიხმანი და სხვები.

მინგეჩაურის ჰიდროკვანძი არა მარტო ელექტროენერგიას იძლევა, იგი ირიგაციის ულევ წყაროსაც წარმოადგენს. მტკვრის წყალი მორწყავს მტკვარ-არაქსის დაბლობის მილიონამდე ჰექტარ გადატრუსულ მიწებს. ამ ახალი სიცოცხლის თვისებით მნიშვნელოვნად გადიდდება ბამბისა და თამბაქოს პლანტაციები, პურის ყანების ფართობები. მტკვრის წყალი გააცოცხლებს აზერბაიჯანის უკაცრიელ ტრაურის ზღვის წყალი მიედინება და სიცოცხლეს ანიჭებს მთიანი ყარაბაღის მრავალ ათას ჰექტარ მიწებს. დასასრულს უახლოვდება მეორე — ზემო შირვანის სარწყავი არხის მშენებლობა. მშენებლებს პირობა აქვთ დადებული სახელოვანი დღესასწაულისათვის — 7 ნოემბრისათვის გადასცენ იგი საექსპლოატაციოდ.

შენდება აგრეთვე ორი სხვა საირიგაციო ნაგებობა — ქვემო ყარაბაღისა და შირვანის მთავარი არხები, რომლებიც წყალს მიიღებენ ვარვარის წყალსაცავიდან. იკითხავთ ეს რაღა წყალსაცავიაო. ამ ოთხი წლის წინათ პატარა სოფელ ვარვარის მახლობლად დაიწყო დიდი წყალსაცავის მშენებლობა, ხოლო დამორჩილებულ მტკვარზე აიგო კიდევ ერთი ჰესი. მიმდინარე წლის აპრილის ბოლოს აზერბაიჯანის ქსელში ჩაირთო ვარვარის ჰესის მესამე აგრეგატი, რითაც დასაბამი მეცა მინგეჩაურის ჰესების კასკადს.

ბოზ-დაღის კალთებზე, სრულიად ცარიელ ადგილზე მტკვრის ორივე ნაპირზე გაშენდა დაბები მინგეჩაურის ჰიდროკვანძის მშენებლებისათვის. ეს დაბები დღითიდღე იზრდებოდა და მალე ერთ მთლიან ქალაქად გადაიქცა.

და აი იქ, სადაც ამ თორმეტი წლის წინათ უკაცრიელი ტრამალი იყო, ახლა გადაჭიმულია მინგეჩაურის ლარივით სწორი, ფართო მოასფალტებული ქუჩები. ქალაქს ამშვენებს ორსართულიანი ლამაზი სახლები, მოედნები, სკვერები, ბაღები. მშვენიერი სანახავია ქალაქის მწვანეში ჩაფლული ცენტრალური მაგისტრალები — ლენინის და სტალინის პროსპექტები.

დღევანდელი მინგეჩაური აზერბაიჯანელი ხალხის ეკონომიკისა და კულტურის ზრდის ნათელი დადასტურებაა. ყოველივე ის, რითაც ამაყობენ ახალგაზრდა ქალაქის მშრომელები, — მძლავრი ჰიდროკვანძი, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხანა, სკოლები, კულტურის სასახლე, კლუბები, ბიბლიოთეკები, საზაფხულო კინოთეატრი, მუსიკალური სკოლა, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებელი — ქალაქში უკანასკნელი წლების მანძილზე გაჩნდა.

ახალგაზრდა ქალაქს დიდი მომავალი აქვს. პარტიის XX ყრილობის დირექტივებით მინგეჩაურში დაიწყო ბამბეულის დიდი ფაბრიკის მშენებლობა. ფაბრიკა, რომლის სამქროებში 2.500 კაცი იმუშავებს, წელიწადში 33 მილიონ მეტრ ქსოვილს გამოუშვებს. ექვსი კვადრატული კილომეტრი უჭირავს ახალ სამშენებლო მოედანს მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ვარვარის ჰესის მახლობლად, სადაც თევზმომშენებელი კომბინატი ეწყობა.

მინგეჩაური ინტერნაციონალური ქალაქია. აქ მტკიცე ძმურ ოჯახად ცხოვრობენ აზერბაიჯანელები, რუსები, უკრაინელები, სომხები, ქართველები, ოსები და ჩვენი ქვეყნის ბევრი სხვა ეროვნების ადამიანები, რომლებიც მტკიცედ დასახლდნენ ახალგაზრდა ქალაქში, შეიყვარეს იგი. მათ შორის არიან ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებიც: ინჟინრები ავთანდილ კორძაია, ჭოლა თარგამაძე, გოდერძი ქასიშვილი, თენგიზ კორინთელი, დავით დგებუაძე, ავთანდილ თათარიშვილი, ვალენტინა ნორაკიძე, იოსებ ხურცილავა და სხვ. მათთან ერთად ქალაქის მშრომელთა პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობს მმაჩის საქალაქო ბიუროს გამგე ლეილა გაგუა, რომელიც უკვე მეოთხე წელია საქალაქო საბჭოს აღმასკომის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანია.

* * *

ახალი სოციალისტური ქალაქი მინგეჩაური ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციისა და ხალხთა ძმური მეგობრობის ლენინური იდეების ხორცშესხმის ერთ-ერთი მკაფიო, მშვენიერმტყველი დადასტურებაა. მინგეჩაურის მშრომელებმა იციან რომ ყველა ის წარმატება, რასაც მათ მიაღწიეს, შესაძლებელი გახდა საბჭოთა ხელისუფლების მეოხებით, რომელმაც ჩვენს ხალხებს მიანიჭა თავისუფლება, სიხარული, ბედნიერება.

მინგეჩაურელები თავდადებით შრომობენ დიდი ოქტომბრის მონაპოვართა შემდგომი განმტკიცებისათვის, ჩვენი სამშობლოს შემდგომ აყვავებისათვის.

ლ. ასტვაცატუროვი,

„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

ქ. მინგეჩაური.



მინგეჩაურის ჰიდროელექტროსადგურის შენობა. ფოტო ა. გილერისა.

მშრომელები იწონებენ პანონის პროექტს ანტისაზოგადოებრივი, პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ

მთელი საზოგადოებრიობის ღვიძლი საქმე

შრომა ჩვენი დიადი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერებისა და მასების კეთილდღეობის განუხრელი ზრდის ძირითადი წყაროა.

საბჭოთა ადამიანები თავდადებით შრომობენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა უბანზე, ეწევიან საზოგადოებრივად სასარგებლო მუშაობას. კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა მოქალაქეების შრომითმა წარმატებებმა საყოველთაო აღიარება ჰპოვა. მაგრამ აქა-იქ ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც გაურბიან შრომას, ეწევიან პარაზიტულ ცხოვრებას.

მაგალითად, თბილისის ქუჩებში ჯერ კიდევ გვხვდებიან ჯანღონით აღსავსე უქნარები, რომლებსაც მათხოვრობა შემოსავლის წყაროდ გაუხდიათ. საჭიროა შეურიგებელი ბრძოლა მათ და მათი მსგავსი პარაზიტების წინააღმდეგ.

გულდასმით გავეცანი „ანტისაზოგადოებრივი, პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ კანონის პროექტს. იგი სავსებით გამოხატავს ჩვენს სურვილებს.

ჩვენს საზოგადოებაში მუქთახორები არ უნდა იყვნენ.

ვ. კოტრძაძე,

თბილისის 26 კომისრის სახელობის სა. სოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნის მჭედელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

დროული ღონისძიება

ძველი თქმაა, ადამიანი შრომაში იწრთობაო.

შრომა ჩვენთვის ისევე აუცილებელია, როგორც პური და წყალი. საბჭოთა ქვეყანაში, სადაც ცხოვრების ყველა სიკეთე ხალხს ეკუთვნის, შრომა ადამიანის ღირსებისა და სახელის საქმეა.

პირადად მე შრომა უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. გასულ წელს კოლმეურნეობაში 400-ზე მეტი შრომადღე გამოვიმუშავე. საკოლმეურნეო ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობენ ჩემი ოჯახის წევრებიც.

კოლმეურნე ქალები და კაცები აღფრთოვანებით მუშაობენ საკოლმეურნეო წარმოებაში. მათი თავდადებული შრომის შედეგია, რომ ყოველწლიურად მტკიცდება საარტელო მეურნეობა, იზრდება ჩვენი შემოსავალი.

სამწუხაროდ, აქა-იქ კიდევ არიან ადამიანები, რომლებზეც ჩვენში ამბობენ, ბევრის სტუმარი, ცოტას მასპინძელიო. ისინი პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან და თავიანთი მოქმედებით ჩირქს სცხებენ საბჭოთა ადამიანებს.

ეს მით უფრო შეუწყნარებელია, რომ საბჭოთა სახელმწიფო ყოველდღიურად ზრუნავს მშრომელთა შრომის პირობებისა და მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, სისტემატურად უმჯობესდება შრომისუნაროთა და მოხუცებულთა მატერიალური უზრუნველყოფა.

დიდი კმაყოფილებით გავეცანი პროექტს კანონისა „ანტისაზოგადოებრივი, პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“. ეჭვი არ არის, რომ მისი განხორციელება სერიოზულ როლს შეასრულებს მუქთახორებისა და უქნარების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ა. ბაბულაშვილი,

დუშეთის კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

ჩვენი გაზეთის მკითხველი თ. ბასიშვილი რედაქციას სწერდა საახალწლოდ ნაძვისხეების თვითნებურად ჭრის შემოხვევებზე, რითაც დიდი ზიანი მოსდის წიწვიან ტყეებს, და აყენებდა საკითხს სატყეო მეურნეობებში საახალწლო ნაძვისხეების სპეციალური პლანტაციების გაშენების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის, ნაკრძალების და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველო, რომელსაც წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა, გვატყობინებს, რომ შესაფერ სატყეო მეურნეობებში დაწყებულია საახალწლო ნაძვისხეების სპეციალური პლანტაციების გაშენება, რაც უახლოეს 6-10 წელიწადში უზრუნველყოფს საახალწლო ნაძვისხეებზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ამით აღმოიფხვრება წიწვიანი ტყეების განადგურების საფრთხე, შეიქმნება მათი დაცვის ნორმალური პირობები.

* * *

დაძველდა, მთლიანად უვარგისი გახდა ხიდი მდინარე ლაშისღელეზე. მის მაგიერ საჭიროა ახალი, კაპიტალური სამანქანო ხიდის აგება, გვწერდა სოფლკორი გ. წილოსანი ლანჩხუთის რაიონიდან.

ლანჩხუთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა, რომელსაც წერილი გადაეგზავნა ზომების მისაღებად, სპეციალურად იმსჯელა ლაშისღელეზე სამანქანო ხიდის მშენებლობის საკითხზე. მიღებულია ზომები ახალი ხიდის მოკლე დროში ასაგებად.

ემზადებიან საბერძნოდგომო თესვისათვის

ბოლნისი (საკ. კორ.). — ქუდუ შარშანდელთან შეადარებდა ბოლნისის მტს-ი ამ ... ბულად ჩაატარეს თავთავიანი მარცვლეული კულტურების აღება, 15 სამუშაო დღეში აიღეს 5.700 ჰექტარი. კარგად მოაწყეს აგრეთვე მინდვრიდან ნამჯის გატანა და დაზვინვა, ხოლო შემდეგ განთავისუფლებული ნაკვეთების საშემოდგომოდ მოხვნა. ჯერ ზონაში მოსავლის აღება არც კი იყო დამთავრებული, რომ მექანიზატორებს მოხნული ჰქონდათ 1.500 ჰექტარზე მეტი ფართობი. სულ საშემოდგომოდ უკვე მოხნეს 3.500 ჰექტარამდე მიწა.

საშემოდგომო ხვნაში დაწინაურდა სტარაქტორო ბრიგადა, რომელსაც გამოცდილი მექანიზატორი ი. ავქოფაშვილი ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადამ დაბა ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მოხნა 600 ჰექტარზე მეტი. ხვნაში საუკეთესო მაჩვენებლებს აღწევს ტრაქტორისტი ქ. ჭაზიმოვი. იგი „ს-80“ მარკის ტრაქტორით ხვნის ყოველდღიურ გეგმას ორმაგად ასრულებს.

ნიადაგის მომზადების პარალელურად კოლმეურნეობები ამზადებენ თესლს.

ახალგაზრდების ზეიმი

წითელწყაროს. (საკ. კორ.). ამ დღეებში რაიონის ცენტრში თავი მოიყარეს ახალგაზრდა კოლმეურნეებმა, მექანიზატორებმა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა. საზეიმოდ მოწყობილ კლუბებში და სასპორტო მოედნებზე ადგილობრივი ძალებით მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა. ზეიმობდნენ შირაქის ბარაქიანი მინდვრებიდან მოსავლის უმოკლეს დროში და უდანაკარგოდ აღებას. ახალგაზრდების ზეიმში მონაწილეობდნენ მოწინავე ადამიანები — აგრონომები, მეცხოველეები, მექანიზატორები და კოლმეურნეები. მოზეიმეებს თავის გამოცდილებაზე ესაუბრა ქედის მტს-ის სახელოვანი კომბაინერი ივანე თეთრაძე, რომელმაც 10 სამუშაო დღეში 213 ჰექტარზე აიღო პურეული და 4.881 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

სოფელ ჯაფარიძის მეღორეობის ფერმის ახალგაზრდა მუშაკმა დ. სეფიაშვილმა მეცხოველეობაში დიდ წარმატებებს მიაღწია. ახლა მას 700 სული ღორი ჰყავს დაყენებული სუქებაზე. აქვე იყვნენ არბოშიკელი მწველავი ს. ბაღაშვილი, სიმინდის მოყვანის ოსტატი, ზემო ქედის კოლმეურნეობის მოწინავე ქალი სონია წიკლაური და ასობით სხვა სახელოვანი ახალგაზრდა.

წელს სახელი გაითქვეს საბათლელმა ახალგაზრდა მეცხოველეებმა. თავდადებული შრომის შედეგად პირუტყვს უკვე დაუმზადეს 1.000 ტონა სილოსი, 324 ტონა თივა, მინდვრებიდან გამოზიდეს და ფერმებთან დაზვინეს 815 ტონა ნამჯა.

სოფლის მეურნეობის მოწინავე ახალგაზრდები კომკავშირის წითელწყაროს რაიკომმა ფასიანი ნივთებით დაასაჩუქრა.

გავაუმჯობესოთ მშრომელთა სავაჭრო მომსახურება

გაიმართა ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი, რომელიც მიეძღვნა 1957 წლის პირველი ნახევრის მუშაობის შედეგებს და მეორე ნახევრის ამოცანებს. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და ვაჭრობის მინისტრმა ამხ. ზ. კვაჭაძემ.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებმა, რომლებიც ასრულებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმის დადგენილებას, მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს მუშაობა. საცალო საქონელბრუნვის გეგმა წლის პირველ ნახევარში შესრულებულია 109 პროცენტით. საქონლის რეალიზაციის მოცულობამ ამ ხნის განმავლობაში გასული წლის შესაბამის პერიოდს გადააჭარბა 600 მილიონი მანეთით და მეტით. ბევრად გაღიდდა კარაქის, შაქრის, ბამბეულის, შალისა და აბრეშუმის ქსოვილების, შეკერილი ნაწარმისა და ფეხსაცმლის მიყიდვა მოსახლეობისათვის. გაფართოვდა საზოგადოებრივი კვების ქსელი.

მაგრამ საქონელბრუნვის გეგმის შესრულების საერთო საშუალო ციფრებს უკან იმალება ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მთელ რიგ საწარმოთა არადამაკმაყოფილებელი მუშაობა. საქონელბრუნვის გეგმა ვერ შეასრულეს საქკურორტვაჭრობამ, სტალინირვაჭრობამ, რუსთავვაჭრობამ, ამიერკავკასიის ტრანსშენის მუშათა მომარაგების განყოფილებამ „ინტურისტის“ საზოგადოებრივი კვების საწარმოებმა. მარტო თბილისში საქონელბრუნვის წლის პირველი ნახევრის გეგმა ვერ შეასრულა 255 სავაჭრო ორგანიზაციამ.

თათბირზე აღინიშნა, რომ მშრომელთა სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესებას სერიოზულად უშლის ხელს რესპუბლიკის ზოგიერთი სამრეწველო საწარმოსაგან მიღებული საქონლის დაბალი ხარისხი.

ამ მხრივ თათბირის მონაწილეებმა სამართლიანი პრეტენზიები წაუყენეს ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატს, თბილისის № 1 და № 6 სამკერვალო ფაბრიკებს, თბილისის ფაბრიკა „საქტრიკოტაჟს“, გორის ბამბეულისა და სტალინირის ავეჯის კომბინატებს და სხვა საწარმოებს, რომლებიც სავაჭრო ქსელს აძლევენ საქონელს არა დადგენილი ასორტიმენტით, ხოლო ზოგჯერ ცუდი ხარისხისას.

თათბირზე დიდი ყურადღება მიექცა ხილით, ბოსტნეულითა და მწვანილით ვაჭრობის შემდგომ გაუმჯობესებას. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამ პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგება არადამაკმაყოფილებელია. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდად არის საქმე ისეთ სამრეწველო ცენტრებში, როგორიც ჭიათურა და ტყვარჩელია, აგრეთვე ბევრ კურორტზე.

კამათის მონაწილენი აღნიშნავდნენ, რომ რესპუბლიკაში ბოსტნეულითა და ხილით ვაჭრობის გაჩაღების მდიდარი შესაძლებლობანი არადამაკმაყოფილებლად არის გამოყენებული.

თათბირზე ითქვა, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს საზოგადოებრივი კვების საწარმოების — სასადილოების, რესტორნების მუშაობა, დამყარდეს იქ სანიმუშო წესრიგი, გაუმჯობესდეს კერძების ხარისხი და სხვ.

თათბირზე აღინიშნა, რომ ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის საქონლის მექანიკური განაწილება. ყოველთვის არ არის გათვალისწინებული ოლქების, ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი თავისებურებანი. ამიტომ ხშირად ზოგ მაღაზიაში საქონელი ჩაწოლილია, სხვა მაღაზიებში კი ეს საქონელი არ არის.

დიდი ნაკლოვანებებია ვაჭრობის კადრების შერჩევასა და განაწილებაში. ხაშურის, ფყალტუბოს, ზუგდიდის, სამტრედიის რაიონების და ქალაქ ქუთაისის მთელ რიგ სავაჭრო საწარმოებში მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობებზე მუშაობენ ადამიანები, რომლებსაც წარსულში ჩადენილი აქვთ სხვადასხვა ბოროტქმედება.

მოხსენების გამო გამართულ კამათში დაისვა ვაჭრობის შემდგომი გაუმჯობესების მთელი რიგი საკითხები, დაისახა ღონისძიებანი ამ დარგში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ახალციხის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის სავაჭრო განყოფილების გამგემ მ. ხაჩატურიანმა ილაპარაკა ზოგიერთ წარმატებაზე, რომლებიც მიღწეულია რაიონის მოსახლეობის სავაჭრო მომსახურებაში, სავაჭრო ქსელის განვითარებაში. წელს რაიონში გაიხსნა ახალი მაღაზიები და სასადილოები, კეთილმოწყობილია არსებული სავაჭრო საწარმოები. მაგრამ ეს ჯერ აკმაყოფილებს მშრომელთა გაზრდილ მოთხოვნილებებს. სუსტად ინერგება ვაჭრობის ისეთი მოწინავე ფორმები, როგორიც არის საქონლის გაყიდვა უგამყიდველოდ, საღილების შინ გაცემა და სხვ.

თვითმომსახურებაზე მუშათა სასადილოების გადაყვანის დადებითი მნიშვნელობის შესახებ ილაპარაკა თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის № 86 სასადილოს გამგემ ა. ძაგნიძემ, ამ ღონისძიებამ, თქვა მან, საკვებით გაამართლა თავისი დანიშნულება.

ბოსტნეულითა და კარტოფილით დედაქალაქის მოსახლეობის მომარაგების ნაკლოვანებებზე ილაპარაკა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს უფროსმა ი. გეტაშვილმა. მან აღნიშნა, რომ სახელმწიფო საცალო ვაჭრობის ხაზით ქალაქის მოთხოვნილება ამ პროდუქტებზე სრულიადაც ვერ კმაყოფილდება.

სტალინირვაჭრობის დირექტორმა გ. ხაჩატურიანმა განაცხადა, რომ სტალინირვაჭრობის სავაჭრო შენობების უმრავლესობა ცუდ მდგომარეობაშია, 50-ზე მეტი მაღაზიის, სასადილოს, საწყობის შენობები კაპიტალურ შეკეთებას მოითხოვს ან აღებულ უნდა იქნას. ვაჭრობის სამინისტრო კი არ იღებს ღონისძიებებს ამ მდგომარეობის გასუმჯობესებლად.

რუსთავვაჭრობის დირექტორი პ. გოგიშვილი შეეხო სავაჭრო რეკლამის ნაკლოვანებებს. ზოგიერთი სასურსათო მაღაზიის ვიტრინებში მოლაყები და ბუტაფორია აწყვია. მან აღნიშნა, რომ საჭიროა შემდგომ გაუმჯობესდეს ქალაქის სავაჭრო ქსელის მომარაგება.

სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში კვების გაუმჯობესების ღონისძიებებზე ილაპარაკა საქართველოს კურორტვაჭრობის დირექტორმა ნ. მაისურაძემ. მან განაცხადა, რომ წყალტუბოს, ბორჯომისა და აბასთუმნის კურორტების მომსახურებისათვის შექმნილი გგუთისა და ადიგენის მერძევეობა-მეგბოსტნეობის საბჭოთა მეურნეობები რეგულარულად ვერ აწვდიან კურორტებს ბოსტნეულსა და რძის პროდუქტებს.

აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის მინისტრის

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სხდომა

ნიუ-იორკი, 20 აგვისტო. (საკდესი). დღეს დილის 10 საათსა და 40 წუთზე ნიუ-იორკის დროით დაიწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სხდომა.

სხდომა მოწვეულია არაბთა 11 ქვეყნის თხოვნით, რათა განიხილოს ომანში ინგლისის შეიარაღებული ინტერვენციის საკითხი, ინტერვენციისა, რომელიც საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და უშიშროებას ახლო აღმოსავლეთში.

დისკუსია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში ომანელი ხალხის წინააღმდეგ ინგლისის შეიარაღებული აგრესიის საკითხის შეტანის შესახებ დაიწყო ერაყის წარმომადგენლის ჰაშიმ ჯავადის გამოსვლით. ერაყი არაბთა ერთ-ერთი ქვეყანაა 11 ქვეყნიდან (ეგვიპტე, ერაყი, იორდანია, ლიბანი, ლიბია, მაროკო, საუდის არაბეთი, სუდანი, სირია, ტუნისი, იემენი), რომელთა თხოვნითაც მოწვეულია დღევანდელი სხდომა და არაბთა ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც წარმოდგენილია უშიშროების საბჭოში.

ჯავადმა ინგლისის მოქმედება დაახასიათა როგორც ყოვლად არაპროვოცირებული შეიარაღებული თავდასხმა ომანზე და განაცხადა, რომ მისი მთავრობა, მიუხედავად მეგობრული ურთიერთობისა ინგლისთან, გადაჭრით მოითხოვს, რომ ომანის საკითხი შეტანილ იქნას უშიშროების საბჭოს დღის წესრიგში.

ჯავადმა მოიყვანა ინგლისის სახელმწიფო მოღვაწეთა და ინგლისის პრესის მოსაზრებანი, რომლებიც ცხადყოფენ, რომ ინგლისმა ფართო მასშტაბით გამოიყენა თანამედროვე საარაღო ომანის ქალაქებისა და სოფლების უიარაღო მშვიდობიან მცხოვრებთა წინააღმდეგ. ინგლისის მოქმედება. თქვა მან, არა მარტო ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, არამედ არღვევს გაერთიანებული ერების თვით საფუძვლებს. ინტერვენცია პატარა სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ კანონიერ შეშფოთებას იწვევს სხვა პატარა ხალხებში, რომლებიც შეადგენენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უმრავლესობას, და საფრთხეს უქმნის მშვიდობას მთელ რაიონში.

დასავლეთის სახელმწიფოთა პროპაგანდის იმ მტკიცებასთან დაკავშირებით, რომ ომანში ინგლისის აგრესიის საკითხის განხილვა „უაზროა“, რადგან „ყველაფერი უკვე გათავებულია“, ჯავადმა განაცხადა: უცხოეთის ჯარების მიერ ქვეყნის ოკუპაცია არ შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ ხალხმა დაამთავროს ბრძოლა თავისი დამოუკიდებლობისათვის.

ინგლისის წარმომადგენელი დიკსონი, ბუნვერვილი, წავიდა იმის წინააღმდეგ, რომ უშიშროების საბჭომ განიხილოს ინგლისის აგრესიის საკითხი. თავის ვრცელ სიტყვაში მან სცადა კიდევაც გამართლებინა ეს აგრესია „არეულობის ჩახშობის საჭიროების“ დაჯაჭინებულთა დასახმარებლად რაღაც მითური „გარედან ჩარევის“ მომიზეზებით. მაგრამ მას ერთი სიტყვაც არ უთქვამს იმაზე, თუ საიდან მომდინარეობდა ეს „ჩარევა“. მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ომანის საშინაო საქმეებში გარედან ერთადერთი ჩარევა იყო ინგლისის შეიარაღებული ინტერვენცია.

დიკსონმა მოიყვანა ციტატი ინგლისის მარონიტების — მასკატის სულთნის წერილიდან, რომელიც შეიცავს თხოვნას შეიარაღებული დახმარების შესახებ. ამ წერილში, სხვათა შორის, ნათქვამი იყო, თუ დახმარება „არ იქნა“, ომანის ტერიტორია დაიკარგებაო. ეს წერილი მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ სულთნის ძალაუფლება ომანისადმი მარტო ინგლისელთა ხიშტებს ეყრდნობა.

ფილიპინების წარმომადგენელმა მოითხოვა შეიტანონ ომანის საკითხი საბჭოს დღის წესრიგში, ამასთან განაცხადა, რომ ეს წინასწარ როდი განსაზღვრავს მის პოზიციას საკითხის არსის შესახებ.

კუბის დელეგატი, რომელიც ჩვეულებრივად ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის კარნახით გამოდის, იმის წინააღმდეგ წავიდა, რომ უშიშროების საბჭომ განიხილოს ინგლისის აგრესიის საკითხი.

შემდეგ გამოვიდა სსრ კავშირის წარმომადგენელი ა. ა. სობოლევი, რომელმაც ენერგიულად დაუჭირა მხარი არაბთა 11 სახელმწიფოს თხოვნას, რომ საბჭოს დღის წესრიგში შეტანილ იქნას ომანის წინაშდეგ ინგლისის შეიარაღებული აგრესიის საკითხი.

ა. ა. სობოლევის გამოსვლა

ნიუ-იორკი, 20 აგვისტო. (საკდესი). გამოვიდა რა უშიშროების საბჭოს სხდომაზე ომანში ინგლისის ინტერვენციის საკითხის გამო, სსრ კავშირის წარმომადგენელმა ა. ა. სობოლევმა განაცხადა:

უშიშროების საბჭოს წინაშეა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თერთმეტი წევრის — არაბთა სახელმწიფოებს—ეგვიპტის, ერაყის, იორდანიის, ლიბანის, ლიბიის, მაროკოს, საუდის არაბეთის, სუდანის, სირიის, ტუნისისა და იემენის მიმართვა თხოვნით — სასწრაფოდ განიხილოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 35-ე მუხლის შესაბამისად შემდეგი საკითხი: „დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებული სამეფოს შეიარაღებული აგრესია ომანის იმამატის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ“.

11 ქვეყნის წარმომადგენელთა წერილში აღნიშნულია, რომ ომანის ხალხი გახდა მსხვერპლი შეიარაღებული აგრესიისა, რომელიც განახორციელა ინგლისის მთავრობამ, დაარღვია რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით ნაკისრი ვალდებულებანი, და რომ უკანასკნელ კვირეებში ამ აგრესიამ ნამდვილი ომის ფორმა მიიღო. ინგლისის საზღვაო, საჰაერო და სახმელეთო შეიარაღებული ძალები ფართო საომარ ოპერაციებს ეწევიან, რისთვისაც იყენებენ თანამედროვე დამანგრეველ იარაღს, ისეთს, როგორიც არის რაკეტები, რეაქტიული თვითმფრინავები, ბომბები, ჯავშნიანი მანქანები და სხვ.

შეიარაღებული აგრესიის გზით, როგორც აღნიშნულია წერილში, ინგლისის მთავრობა ცდილობს მოსპოს ომანის — იმ ქვეყნის სუვერენიტეტი, რომლის დამოუკიდებლობა დადასტურებულია სახელშეკრულებო ვალდებულებებით და, კერძოდ, 1920 წლის ხელშეკრულებ ით, რომელიც დაიდო მასკატსა და ომანს შორის ინგლისის მთავრობის პირდაპირი შუამავლობით. წერილში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ „ინგლისის მხრივ აგრესიის აქტება ომანის მშვიდობისმოყვარე ხალხის წინააღმდეგ, თუ ეს აქტები გაგრძელდა, სერიოზული შედეგები მოჰყვება, არაბთა სამყაროს ამ ნაწილში სიტუაციის უაღრესი სერიოზულობა აუცილებელს ხდის უშიშროების საბჭოს დაუყოვნებლივ მოქმედებას, რომელსაც ეკისრება მთავარი პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვისა და აგრესიის თავიდან აცილებისათვის“.

საბჭოთა დელეგაცია სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებს უშიშროების საბჭოში არაბთა 11 სახელმწიფოს მიმართვას. ეს მიმართვა მოწმობს არაბი ხალხების დიდ შეშფოთებას იმ მდგომარეობისათვის, რომელიც ახლო და შუა აღმოსავლეთში იქმნება.

დასავლეთის ქვეყნების ზოგიერთი ოფიციალური წრეები და პრესის ნაწილი, კომენტარს უკეთებდნენ რა ომანის ამბებს, ცდილობდნენ სა ე ისე წარმოედგინათ, თითქოს ლაპარაკი იყო არაბი ხალხის ორი მტრული ჯგუფის შინაომზე, მაგრამ ამბების მსვლელობამ ამხილა ეს მტკიცება და ცხადყო, რომ ომანელი ხალხის ბრძოლის აზრად მისი მისწრაფება გაათავისუფლოს თავისი ქვეყანა უცხოელთა ბატონობისაგან და მოუპოვოს მას სრული დ ოუკიდებლობა.

იმაზე პირდაპირ არის ნათქვამი განცხადებაში, რომელიც გამოაქვეყნა ომანის წარმომადგენელმა კაიროში და რომელშიც აღნიშნულია, რომ „განმათავისუფლებელი ომი, რომელიც ომანში წარმოიბეს, არის ომანელი ხალხის ბრძოლა აგრესიული იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ეს არის ომანის ხალხის ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ინ ლისის იმპერიალიზმის ცდების წინააღმდეგ ჩაერიოს ომანის საშინაო საქმეებში მისი მისწრაფების წინააღმდეგ დაიმონოს ომანელი ხალხი“. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ უკანასკნელი ამბების ამგვარ შეფასებას.

ინგლისის მთავრობა, ისევე როგორც ინგლისის წარმომადგენელი უშიშროების საბჭოში, ცდილობს უარყოს ომანის ხალხის საშინაო საქმეებში ინგლისის ჩარევის აგრესიული ხასიათი.

ინგლისის მთავრობა ცდილობს გამართლოს სამხედრო ჩარევა ომანის საშინაო საქმეებში ინგლისს და მასკატს სულთანს შორის „ძველი ტრადიციული ურთიერთობის“ დამოწმებით. მაგრამ ვერავითარი კოლონიური „ურთიერთობა“ ვერ იქნება საფუძველი ომანში ინგლისის შეიარაღებული ძალების ინტერვენციისათვის.

საბჭოთა დელეგაცია საკმებით ეთანხმება ინგლისის ჩარევის იმ შეფასებას, რომელიც მოცემულია არაბთა სახელმწიფოების ზემოხსენებულ წერილში. ამ წერილში ინგლისის მოქმედება შეფასებულია როგორც შეიარაღებული აგრესია, და ეს სავსებ ით სწორი შეფასებაა. მართლაც, სხვა რა შეიძლება ეწოდოს ინგლისის შეიარაღებული ძალების სრულიად გაუმართლებელ შეჭრას ომანის ტერიტორიაზე? როგორც გამოქვეყნებული მასალები გვიჩვენებენ, ინგლისის ჯარები არა მარტო შეიჭრნენ ომანის ტერიტორიაზე, არამედ ფართო საომარ მოქმედებასაც აწარმოებენ კანონიერი მთავრობის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ, ომანის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, ამასთან იყენებენ უახლეს საშხედრო ტექნიკას—რეაქტიულ თვითმფრინავებს, რაკეტებს, ჯავშნიან მანქანებს და სხვ. ყველა უწინაზრახვო ადამიანისათვის ცხადია, რომ ინგლისის აგრესიული მოქმედება ომანში წარმოადგენს საერთაშორისო საზმართლისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ძირითადი პრინციპების უხეშ დარღვევას.

რამდენადაც ამჟამად საბჭო განიხილავს მხოლოდ საპროცედურო საკითხს დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ, საჭირო არ არის შევეხოთ განსახილველი საკითხის დეტალებს. საკმარისია გავიხსენოთ მხოლოდ ზოგიერთი საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი.

არაბეთის ნახევარკუნძულზე მომხდარი ამბები არ შეიძლება იზოლირებულად განვიხილოთ. სინამდვილეში ომანის უკანასკნელ ამბებს წინ უძღოდა ინგლისის მთელი რიგი აგრესიული ღონისძიებანი ამ რაიონში. მაგალითად, 1955 წლის სექტემბერში ინგლისის ჯარებმა ღაბაყრეს საუდის არაბეთის კუთვნილი ბურაამის ოაზისი. მაშინვე, როგორც კი გამოცხადდა, რომ ომანში აღმოჩენილია ნავთობის დიდი საბადოები, მასკატის შეიარაღებული ძალები ინგლისელი ოფიცრების ხელმძღვანელობით შეიჭრნენ ომანში და დაიწყეს ომანელი ხალხის აშკარა შეიარაღებული დათრგუნვა და ბრძოლა მისი სულიერი მეთაურის — იმამის წინააღმდეგ, რომელიც, როგორც პრესა იუწყება, უარს ამბობს საკონცესიო უფლებები მისცეს ინგლისის ნავთობის მონოპოლიებს ომანის ტერიტორიაზე. ომანის ხალხი ერთსულოვნად გამოვიდა თავისი დამოუკიდებლობის დასაცავად, და ეს ბრძოლა დღემდე გრძელდება.

ომანის ამბებთან დაკავშირებით პრესაში გამოქვეყნებული დიდძალი მასალა დამაჯერებლად მოწმობს, რომ ინგლისის აგრესიული მოქმედება ნაკარნახევია მხოლოდ ინგლისისა და ინგლის-ამერიკის ნავთობის კომპანიების ინტერესებით და რომ ეგრეთწოდებული მეგობრული დახმარება მასკატის სულთნისადმი და ამის შემდეგ დაწყებული ინგლისის შეიარაღებული ძალების საომარი მოქმედება ომანის ხალხის წინააღმდეგ სინამდვილეში მიზნად ისახავს არაბი ხალხის კუთვნილი ნავთობიანი მიწებისა და რაიონების დაპყრობას.

ამრიგად, მოგვები მიღებისათვის, დასავლეთის სახელმწიფოთა მონოპოლიები მზად არიან ჩაიდინონ ყოველგვარი დანაშაული თავისუფლებისმოყვარე არაბი ხალხების წინააღმდეგ. არაბთა ქვეყნების ყველაზე ძვირფასი ეროვნული სიმდიდრე — ნავთობი იქცევა მათი ხალხებისათვის უბედურების წყაროდ.

საბჭოთა დელეგაციას კარგად ესმის შეშფოთება, რომელიც გამოხატულია არაბთა 11 სახელმწიფოს წერილში იმის შესახებ, რომ თუ გაგრძელდა აგრესიული მოქმედება ინგლისის მხრივ ომანის მშვიდობისმოყვარე ხალხის წინააღმდეგ, იგი გამოიწვევს სერიოზულ შედეგებს. მდგომარეობის დაძაბულობა იმით ღრმავდება, რომ ინგლისის მოქმედებას აქტიურად უჭერს მხარს ზოგიერთი სხვა სახელმწიფო. მაგალითად, უშიშროების საბჭო, უეჭველია, მოსთხოვს შეერთებული შტატების დელეგაციას განმარტებას სახელმწიფო მდივნის ბ-ნ დალესის ამა წლის 6 აგვისტოს განცხადების შესახებ, რომელშიც დალესი აღნიშნავდა, რომ ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მჭიდრო თანამშრომლობაა ამ კონკრეტულ რაიონში. დალესმა აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნა ამ რაიონში ნავთობის ამერიკელ, ინგლისელ და სხვა მრეწველთა წრეების საერთო ინტერესების არსებობა. რა თანამშრომლობაზე ლაპარაკობს ბ-ნი დალესი ახლანდელ პირობებში? არაბი ხალხების წინააღმდეგ აგრესიული მოქმედების განხორციელებაში თანამშრომლობაზე ხომ არა? თუ ეს ასეა, მაშინ უშიშროების საბჭოს დამატებითი საფუძველი აქვს განიხილოს არაბთა 11 სახელმწიფოს მოთხოვნები და ბოლო მოუღოს აგრესიას ომანის ხალხის წინააღმდეგ. ეს მოთხოვნა ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, რომ ომანელი ხალხის ბრძოლას მხურვალედ თანაუგრძნობენ სხვა ხალხებიც და არა მარტო არაბი ხალხები. საბჭოთა ადამიანებისათვის გასაგებია არაბი ხალხების მისწრაფება უცხოეთზე დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებისადმი, სრული დამოუკიდებლობის მიღწევისადმი. ამიტომ საბჭოთა ხალხი ილაშქრებს ომანელი ხალხის საქმეებში რაიმე ჩარევის წინააღმდეგ, რომელსაც, ისევე როგორც ყველა სხვა ხალხს, უფლება აქვს საკუთარი შეხედულებისამებრ გადაწყვიტოს თავისი ბედი.

საბჭოთა დელეგაციას სავსებით დასაბუთებულად მიაჩნია მოთხოვნა, რომ უშიშროების საბჭომ განიხილოს ომანის ამბების საკითხი და მიიღოს ქმედითი ღონისძიებანი, რათა აღიკვეთოს აგრესია ინგლისის მხრივ. არაბი ხალხების საშინაო საქმეებში შეიარაღებული ჩარევის განგრძობას და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობას შეუძლია კიდევ უფრო გაართულოს ვითარება ახლო აღმოსავლეთში და გამოიწვიოს უაღრესად სერიოზული შედეგები.

საბჭოთა დელეგაცია მხარს უჭერს არაბთა 11 სახელმწიფოს თხოვნას დღის წესრიგში ამ საკითხის შეტანის შესახებ. უშიშროების საბჭოს, რომელსაც ეკისრება მთავარი პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვისათვის, არ შეუძლია ყური არ დაუგდოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ჯგუფის სამართლიან მოთხოვნას, რომლებმაც საბჭოს მიმართეს დახმარებისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების სრული შესაბამისობით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციას კვლავ ახვევენ თავს „უნგრეთის საკითხს“

ნიუ-იორკი, 20 აგვისტო. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნომ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ მიღებულია გადაწყვეტილება 10 სექტემბერს მოიწვიონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ენერალური ასამბლეის სპეციალური სესია ეგრეთწოდებული „უნგრეთის კომიტეტის“ მოხსენების განსახილველად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დარღვევით შექმნილი ამ კომიტეტის მოხსენება ცილისმწამებლური ჭორაჭაბია. მას საფუძვლად უდევს ღვარძლიანი მონაჟორები, რომლებიც შეთხზეს უნგრელი ხალხის მოსისხლე მტრებმა, კონტრრევოლუციური ამბოხების საზღვარგარეთ გაქცეულმა მონაწილეებმა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სპეციალური სესიის მოწვევის საკითხი გადაწყდა მის წევრთა წერილობითი გამოკითხვის გზით ისე, რომ გენერალური კომიტეტი მოწვეული არ ყოფილა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობა კატეგორიულად წინააღმდეგი იყო ამ სესიის მოწვევისა, რადგან საბჭოთა კავშირს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების საწინააღმდეგოდ და უკანონოდ მიაჩნია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ განიხილოს უნგრეთის მდგომარეობის საკითხი, ისევე როგორც „უნგრეთის კომიტეტის“ მოხსენება.

როგორც გამოირკვა, ინდოეთისა და ეგვიპტის წარმომადგენლებიც წინააღმდეგი იყვნენ „უნგრეთის საკითხზე“ შემდგომი უაზრო და მავნე დისკუსიისა.

მიუხედავად ამისა, დასავლეთის ქვეყნები შეერთებული შტატების წაქეზებით დაჟინებით მოითხოვდნენ სპეციალური სესიის მოწვევას იმ მიზნით, რომ განიხილოს ეგრეთწოდებული „უნგრეთის საკითხი“.

ინგლისის აგრესიის ახალი აქტები იემენში

კაირო, 19 აგვისტო. (საკდესი). იემენის დესპანმა კაიროში აბუ თალებმ პრესისათვის გააკეთა განცხადება ინგლისის აგრესიის ახალი აქტების შესახებ იემენის წინააღმდეგ.

იემენიდან მიღებული ცნობებით, ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავები თავს დაესხნენ იემენის სამხრეთი და აღმოსავლეთი რაიონების ქალაქებსა და სოფლებს. 16 აგვისტოს ინგლისის ბომბდამშენთა ესკადრილიამ ბარბაროსულად დაბომბა შუქეირის რაიონი, სადაც გამოიწვია დიდი ნგრევა და ბევრი მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში. ორი დღის განმავლობაში ინგლისის თვითმფრინავები თავს ესხმოდნენ იემენის ქალაქებსა და სოფლებს სალიფის რაიონში.

ინციდენტები ესპანეთის აფრიკის კოლონიაში

პარიზი, 19 აგვისტო. (საკდესი). როგორც პრესა იუწყება, გუშინ ესპანეთის სამფლობელო იფნში, რომელიც მაროკოს ტერიტორიაზე მდებარეობს, სისხლისმღვრელი შეტაკებები მოხდა ესპანეთის არმიის ნაწილებსა და მაროკოს მოსახლეობას შორის. როგორც მაროკოს გაზეთი „ალ-ალამი“ იუწყება, შეტაკებათა შედეგად სამოქალაქო მოსახლეობაში არიან მოკლულნი და დაჭრილნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო მხარს უჭერს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის თხოვნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მიღების შესახებ

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის თავმჯდომარეს ამხანაგ ჩ. სურენჟავს

როგორც ცნობილია, ამა წლის 8 ივლისს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის სესიამ მიიღო ძიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ყველა ქვეყნის პარლამენტებისადმი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მიღების საკითხზე. ასეთი მიმართვა მიიღო სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ. ქვემოთ ქვეყნდება აღნიშნულ მიმართვაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პასუხის ტექსტი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ერთსულოვნად უჭერს მხარს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის თხოვნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მისი მიღების შესახებ, რომელსაც შეიცავს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების პარლამენტებისადმი.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა, როგორც დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფო, ახორციელებს საგარეო და საშინაო პოლიტიკას, რომელიც მთლიანად და სავსებით შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მაღალ მიზნებსა და პრინციპებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო არწმუნებს დიდ სახალხო ხურალს, რომ სსრ კავშირის მთავრობა კვლავაც იბრძოლებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მიღებისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დავალებით

ჯ. ლოგანოვი,
კავშირის საბჭოს თავმჯდომარე

ვ. ლაცისი,
ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე

მოსკოვი, 1957 წლის 12 აგვისტო. (საკდესი).

დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს მიმართვა

ბერლინი, 20 აგვისტო. (საკდესი). დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნულმა საბჭომ 19 აგვისტოს სხდომაზე მიიღო მიმართვა დასავლეთ გერმანიაში ბუნდესტაგის მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით.

მიმართვაში აღნიშნულია, რომ ბუნდესტაგის არჩევნებს დიდი მნიშვნელობა ექნება მთელი გერმანიის ბედისათვის. ეროვნულ ფრონტს, ხაზგასმულია მიმართვაში, უფლება აქვს ილაპარაკოს მთელი გერმანელი ხალხის სახელით, რადგან იგი აერთიანებს პატრიოტულად განწყობილ გერმანელებს — გერმანელი ხალხის ყველა ფენის წარმომადგენლებს ერთობლივი მოქმედებისათვის იმ მიზნით, რომ გააერთიანონ გერმანია მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიულ სახელმწიფოდ.

ამასთან დაკავშირებით მიმართვაში ნათქვამია, რომ ეროვნული ფრონტი მუდამ იბრძოდა და იბრძვის მტკიცე მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფისათვის, გერმანიის ერთიანობის უსწრაფესი მშვიდობიანი აღდგენისათვის, და როგორც მაგალითები, მოყვანილია ეროვნული ფრონტის მთელი რიგი განცხადებები და მიმართვები, რომელთა მიზანია გაიარაღების მიღწევა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და რომლებიც მიმართულია დასავლეთ გერმანიაში მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ, მოითხოვს გერმანელთა შორის ურთიერთგაგების მიღწევას, ორივე გერმანული სახელმწიფოს დაახლოებას და ა. შ.

ამის საწინააღმდეგოდ, ნათქვამია შემდეგ მიმართვაში, ადენაუერის პარტია ლაპარაკობს და მოქმედებს მონოპოლისტური კაპიტალისა და მსხვილი მიწათმესაკუთრეთა სახელით, იმ ძალების სახელით, რომელთა ბატონობამ უკვე ორგზის დაატეხა თავს გერმანიას საშინელი კატასტროფა.

მიმართვაში ხაზგასმულია, რომ გერმანიის გაერთიანების ერთადერთი შესაძლებელი გზა — ორივე გერმანული სახელმწიფოს შექმნა დასახა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ და მოიწონა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატამ ა. წ. 8 აგვისტოს სხდომაზე. სავსებით უჭერს რა მხარს ამ წინადადებას, დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭო აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის ყველა მშვიდობისმოყვარე და პატრიოტულად განწყობილი გერმანელის სახელით აგრეთვე მოითხოვს, რომ ერთობლივად განიხილონ და მიაღწიონ ურთიერთგაგებას შემდეგ საკითხებში:

1. აიკრძალოს ატომური იარაღის განლაგება და წარმოება გერმანიის ტერიტორიაზე, აგრეთვე აიკრძალოს ატომური ომის პროპაგანდა.

2. ორივე გერმანული სახელმწიფო გამოვიდეს შესაბამისად ნატოდან და ვარშავის ხელშეკრულებიდან, გაუქმდეს დასავლეთ გერმანიაში სამხედრო ბაგარა და მოხდეს შეთანხმება ორივე მხარის ჯარების რაოდენობის საკითხზე.

3. ერთობლივად ან ცალცალკე მიმართონ ოთხ სახელმწიფოს თხოვნით, რომ მალე გაიყვანონ თავიანთი ჯარები მთელი გერმანიის ტერიტორიიდან.

გერმანიის ეროვნული აღორძინების ეს პროგრამა, აღნიშნულია მიმართვაში, ერთადერთი შესაძლებელი პროგრამაა ყოველი ნამდვილად გერმანული პოლიტიკისათვის.

მიმართვა შეიცავს მოწოდებას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა მოქალაქისადმი, ყველა პარტიისა და მასობრივი ორგანიზაციისადმი, ეროვნული ფრონტის ყველა კომიტეტისადმი განამტკიცონ და გააფართონ კონტაქტები ორივე გერმანული სახელმწიფოს მოქალაქეთა შორის და მოაწყონ გერმანელი ერისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხების ერთობლივად განხილვა.

დასასრულ, დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭო მიმართავს ყველა დასავლეთგერმანელ ამომრჩეველს და მოუწოდებს ბუნდესტაგის არჩევნებში დაამარცხოს ადენაუერის პარტია ქრისტიან დემოკრატთა კავშირისა და ამით გზა გაუკაფოს იმას, რომ შეწყდეს ატომური ომისა და გერმანიის გათიშვის გაღრმავების პოლიტიკა.

სპორტის ამბები

საქართველოს ალპინისტთა ექსპედიცია

რაგორც ვიუწყებოდით, საქართველოს ალპინისტთა ჯგუფი 24 ივლისს შემადგენლობით (ხელმძღვანელი ო. ფალიაშვილი) ადგილზე იმყოფება და წარმატებით განაგრძობს ტრავერსს.

გუშინ საქართველოს ალპურ კლუბში მიღებულია ახალი ცნობა ჩვენი რესპუბლიკის მთასვლელთა ახალი გამარჯვების შესახებ.

დეპეშით გვატყობინებენ: დამთავრდა ალპინიზმის საერთაშორისო პრაქტიკაში ერთ-ერთი რთული სიმაღლოვანი ტრავერსი. ყინულთა სამყაროში 20 დღის ყოფნის შემდეგ გეოგრაფიული საზოგადოების მყინვარის ენასთან მდინარე ვანჩის ხეობაში ჩამოვიდა ექსპედიციის შემადგენლობა. მოიერიში ჯგუფმა 10 კაცის შემადგენლობით დაამთავრა დარვაზის ქედის ტრავერსი. ტრავერსის პროცესში დაპყრობილია შვიდი მწვერვალი, რომელთა სიმაღლე 6.000 მეტრს აღემატება. ექვს მათგანზე მოხდა პირველი ასვლა, ხოლო ერთზე ასვლა ახალი გზით მოეწყო. დარვაზის ქედის ტრავერსის საერთო მანძილი რთული ლავგარდანებიანი გზით 10 კილომეტრს შეადგენს. პირველად არის გამოკვლეული ღარმოს პიკის მნიშვნელოვანი შტოქედები და გეოგრაფიული საზოგადოების მყინვარის სათავეები.

ტრავერსის მონაწილენი კარგად გრძნობენ თავს.

სსრ კავშირის პირველობაზე

„ბ“ კლასი

20 აგვისტოს ქუთაისში გაიმართა „ბ“ კლასის მესამე ზონის გუნდების მორიგი მატჩი ფეხბურთში. ადგილობრივი „ლოკომოტივის“ წინააღმდეგ თამაშობდა ქ. პერმის გუნდი. შეჯიბრება დამთავრდა ფრედ 0:0.

ტრადიციული მატჩი

ლიტვისა და საქართველოს მძლეოსანთა მატჩი ტრადიციული ასპარეზობა გახდა. წელს ეს შეჯიბრება გაიმართა ვილნიუსში. საქართველოს გუნდის შემადგენლობაში იყვნენ დვალიშვილი, სანაძე, ინთაძე, ქორლაძე და სხვ.

გუნდურ ჩათვლაში საქართველოს მძლეოსანთა კოლექტივმა 161 ქულა შეაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. ლიტვის სპორტსმენებმა 154 ქულა შეაგროვეს.

ქართული მხატვრული ფილმი «ბაში-აჩუკი»

რუსულ ენაზე დუბლირებული ქართული მხატვრული ფილმი „ბაში-აჩუკი“, რომელიც შექმნეს თბილისის კინოსტუდიის მუშაკებმა გამოჩენილი ქართველი მწერლის აკაკი წერეთლის ამავე სახელწოდების მოთხრობის მოტივებზე. კინოსურათის მაყურებელი გადაჰყავს შორეულ წარსულში — XVII საუკუნეში, როცა წვრილ სამთავროებად დაყოფილი საქართველო განიცდიდა სპარსთა გამანადგურებელ შემოსევას. ქართველი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის თავდადებულ ბრძოლაზე, მამაც გმირ ბაში-აჩუკზე მოგვითხრობს ახალი ფერადი კინომოთხრობა. იგი დადგა რეჟისორმა ლეო ესაკიამ სცენარით, რომელიც მან დაწერა ვ. კარსანიძესთან ერთად. მთავარ როლებში გადაღებული არიან მსახიობები ო. კობერიძე, დ. აბაშიძე, ლ. ელიავა, მ. ჩახავა და სხვები.

20 აგვისტოს სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ მოაწყო ახალი ქართული ფილმის საზოგადოებრივი გასინჯვა. უახლოეს დღეებში იგი დედაქალაქის ეკრანებზე გამოვა. (საკდესი).

საძღვისის გასწორება

გაზეთ „კომუნისტის“ 18 აგვისტოს ნომერში მე-2 გვერდზე დაბეჭდილ მასალაში „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განწარახულობათა კომისიისაგან“ მესამე აბზაცი უნდა იკითხებოდეს:

„კანონის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის შემდეგ იგი მშრომელთა შესწორებისა და დამატებების გათვალისწინებით შეტანილი იქნება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს განსახილველად“.

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე ორი 0,5 საშტატო ერთეულის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად ახალი ქართული ლიტერატურის (XIX საუკუნე) სპეციალობით.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა ინსტიტუტის დირექტორის სახელზე უნდა შემოიტანონ განცხადება შემდეგი საბუთების დართვით: ა) კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ბ) უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის, სამეცნიერო ხარისხის და წოდების მინიჭების დიპლომის (ატესტატის) შემოწმებული პირები, გ) ავტობიოგრაფია, დ) დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, ე) სამეცნიერო შრომების სია, ამ შრომების რეცენზიები და მთავარი დაბეჭდილი შრომები.

კონკურსის ვადაა ორი კვირა დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

ინსტიტუტის მისამართი: ქ. თბილისი, ძერჟინსკის ქ. № 8, შეოთხე სართული.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია აცხადებს პერიოდულ კონკურსს მზისა და ცოცხალების განყოფილების ორი უფროსი მ